ეროვნული ბიბლიოთეკა
P 1033

# გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი

კვირა, 10 დეკემბერი 1922 წ.
— ჟურნალი —
გამოდის ყოველკვირეულად.

№ 2

რედაქციის მისამართი:
— ტფილისი —
სასახლის ქუჩა, № 5.

იაკობ ნიკოლაძეს ჩემი გულწრფელი სალამი! ჩვენს ქვეყანაში დღეს იბადება იდეა მიქელ ანჯელოსი, უდიდესი იდეა მთიური, გიგანტიური ლანდშაფტის შექმნისა, ზღვისპირად. ბუნებრივი კლდეებისაგან, რომ მეზღვაურებმა შორიდან დაინახონ იგი... ტიტანიური მთების ლანდშაფტი, ზღვის პირად! აი დღევანდელი დღის. თანამედროვეობაც იმ ზღვას ჰგავს, ის მბრუნავ მალსტრომს, რომელზედაც დაუვიწყარ ლეგენდებს ქმნიდენ: ედგარ პო, არტურ რემბო, ბოდლერი. რამდენი მთვრალი ხომალდი დაიღუპება ამ უსივრცო ოკეანეში. და რანაირი ნუგეში იქნებოდა მათთვის შორიდან მაინც მოეკრათ თვალი უდიდესი ქანდაკებებისათვის. მე მახსოვს ტიტანიური გემი „დალანდი“,—იგი მოარღვევდა შავი ზღვის აბობოქრებულ ტალღებს, მე ვბრუნდებოდი რევოლუციიდან, მომქონდა კაპიტალური რომანები და წიგნი „Crâne aux fleurs“ და კიდევ ერთი იდეა: განახლება ან სიკვდილი. მე ვიცოდი რომ ადამიანებს შორის აღარ არის არავითარი კავშირი უსულო და უგულო ანგარიშებს გარდა, რომ ამაოდ წყუროდათ ამ ადამიანებს იდეალი და ჰარმონია, რომ ეგოისტურმა ანგარიშებმა სრულიად წალეკეს ლტოლვა არაქვეყნიურ ოცნებისადმი გაჰქრა მწუხარება ვაკენროდერის, გაჰქრა ზმანებები ნოვალისის. ფანტასტიური გემი დაუსჯელად ვერ მივიდოდა ოცნების სამეფოში: ქარიშხალი მეტად მძლავრად სცემდა მას, ზღვაში დახეტიალობდენ ნალმები და არა ერთი და ორი ხომალდი ჩვენს წინ სამუდამოდ დაიმარხა ზღვის ტალღებში. ეხლაც იქ არჩევნებენ საბედისწერო ადგილს, გემთა სასაფლაოს. მათთვის, ვინც არ იცოდა ბრძოლა, ეს სიკვდილის მომასწავებელი ბრუნვა იყო, მექანიკურად გაქანებული ისტორიის გრიგალი ზღვაში ისროდა იმ მოხეტიალე ჟონგლერებს, რომელთა ნაზი სიმღერით
შფოთდებოდა გრაფინია იზორას სული.

ყველას და ყველაფერს წაართვა ფერი ჩვენმა დამნაცრებელმა დრომ. ყველას გაამხნევება სჭირდება; მათთვის ჩვენ უნდა განვახორციელოთ მიქელ-ანჯელოს იდეა, უდიდესი იდეა გიგანტიური მთის ლანდშაფტისა, რომ იდუმალებისა და სასწაულის მოლოდინში მყოფმა მენავეებმა და მეზღვაურებმა შორიდან დაინახონ იგი. ჩემი გულწრფელი სალამი იაკობ ნიკოლაძეს!

გალაკტიონ ტაბიძე.

ხელოვნების სასახლე
ტფილისი

## შორეული ფიქრები წვიმაში.

წვიმს. ქარია. ცივა.
ფერწასული მესსა
მოლლილ ბაღთან მივა.
და მარტო ვარ დღესაც.
წვიმს... ქარია... ცივა...

მწუხრს ფოთლებად ცვივა
მოლანდება ფარდის.
ობოლ ვერხვებს ცივათ.
და სიფითრე დადის.
წვიმს. ქარია. ცივა...

მოგონების რკალი.
ცრემლიანი მინა.
და ოცნება მქრალი,
დაკარგული წინად.
წვიმს. ქარია. ცივა...

დაეცემა ბინდი
სინანულის ვარდათ...
ო, არ მინდა წვიმდეს
ჩემი ფიქრის გარდა.
წვიმს. ქარია. ცივა...

უცნაურად გასტანს
აგონია ზარის.
და მწუხარე დასთან
ჩაფიქრდება ქარიც.
წვიმს. მარტო ვარ. ცივა...

გადატეხა შუქმა
სევდიანი გეზი.
მე კი ვნანობ უქმად
შეწუხებულ დღეზე,
წვიმს. ქარია. ცივა...

ო, პრინცესსა! მალე
შენი ლანდი წავა,
და ცისფერი ქალი
გამოჩნდება შავად.
წვიმს. ქარია. ცივა...

წვიმს. ქარია. ცივა.
ფერწასული მესსა
მოლლილ ბაღთან მივა.
და მარტო ვარ დღესაც.
წვიმს... ქარია... ცივა...

**გობრონ აგარელი.**

## ნატვრა.

(გალაკტიონ ტაბიძეს).

ნეტავი ვიყო ნიავი
ლამაზი გაზაფხულისა,
რომ შემოვევლო ყვავილებს
როგორც სურვილი გულისა.

ან ვიყო წმინდა ცვარ-ნამი,
ვარდზედ დაყრილი დილისა
წამლად სახმარი, მკურნალი
სუყველა დავრდომილისა.

ან ვიყო კიდევ ოცნება
უმანკო სიყვარულისა,
ყველგან მავალი ვით სხივი
ცხრა თვალა მზეთა გულისა.

რომ შემოვევლო ქვეყანას,
მთა-ბარი შემოვიარო
ყველას დარდი და ვარამი
შუაზედ გავიზიარო...

**შიო მღვიმელი.**

## ჩემი გზა ვრცელი.

იყო ანთება. გზა. უცხოეთი.
გადასახლება ჩემი ბრძანებით.
გაგიჟებაში გავხდი პოეტი—
ცოდვების ბოდვით და მონანებით.

ადგნენ ქარები გძელი ქუდებით.
(უდაბნოებში უფრო ხშირია...
მზის დალამება და გამრუდება)
და გზები ასჯერ გადაირია.

მივყავდი ტალღებს გზა დაბუდრული—
და მდევდა კვლავ თან ბედის მწერალი.
მიმაქანებდა როგორც შურდული
ფიქრი ღმერთებთან ნაქიმერალი.

გადავიფარე ბინდის ზეწარი.
ყოველი წუთით განცდა სხვაობდა.
და დავსხლტი ისევ. და უეცარი
ბედი ოხერი ამიჭაობდა.

..... და ეხლა ჩემთვის არც უცხოეთი
სამშობლოც ჩემთვის ძნელდას მოუნდა
ჟძილო ქართან ჰბოდავს პოეტი:—
ღმერთი გაგიჟდა და გაკლოუნდა.

**ი. მოსაშვილ**

## ალილო ღამეს.

დაეფარება ცას ნაცარი ნავულკანარი.
ღამე მშვიდობით. დაბინდულებამ ფანჯარაზე იკლოს.
ჩაქრება ადრე ორღობეში პრაქი ფანარი.
და წელს ზამთარი სათამადოდ დარჩება ციკლონს.

ქარბებიდან ამოაძრობს ყანჩა კვიპაროსს.
და ალილოზე წავა ჯოხით კვლავ დეკემბერი·
დავრაზავ კარებს რომ ბეჭედები არ მოიპაროს.—
ხშირია ღამით ფანჯარასთან ქარი ბებერი.

ო, დედა ჩემო, კვლავ მიამბე მამაზე ძველი—
ახალგაზდობის ნაგიჟარი... ნაარაკალი.
ბზიალებს ჯარა ბუხრის პირას და უდარდელი,
დიდხანს აომებს ქერში თაგვებს კენტი კაკალი.

მერე მამაჩემს გაუგზავნით—საჩუქარს ტაბლას.
ესეც უყვარდა. ღვინოს დალევს იმ საიქიოს.
ძვირფასი ლანდი დაფარულად ჩამოდის დაბლა,
რომ გარდაცვლილმა სიცოცხლეზე შური იძიოს.

კოჭლი მთხოვარა კარზე ოთხ სიმს ააფანდურებს.
გძელი ალილო და ბიჭები,—ასველებს მამალს.
დელას ჩასთვლიმა და ჯარასთან თავს აკანტურებს,
გამთბარი კატა დაიხურავს დედის ფესტამალს.

დაეფარება ოთახს ძილი. გამიამარებს
მამის სურათი მაგიდაზე მარტო მტირალი.
წავალ ვიგლოვებ და კვლავ ვტოვებ ძვირფას სამარეს
და დავალ გარედ, როგორც ქურდი, ნაჯიბგირალი.

**ი. მოსაშვილი.**

---

## ღამე ჩემს სოფელში მუდამ ერთნაირი·

მთების სილუეტი შავად ჩამოთლილი
სიო ხეივანის მუდამ მსახურია.
ბალი აივნის წინ მუქად გათოთლილი,
სოფელს აბრეშუმის ღამე ახურია...

როგორც კედლის სვეტზე მიკრული აული,
შორი და ლამაზი ვით ძველი ფაშულა.
ეზოში, ქიშკართან ღამის ყარაული.—
თათებზე ყქილო ძაღლი დანამულა.

იყივლებს მამალი. კისერს მოიღერებს,
ფრთებში თავს დაჰფარავს, ამოიკაკვება.
გვიანი გამელელი ძაღლებს მოიგერებს
და ყეფა შარა გზას თოკივით გაჰყვება.

და ძილი ყაჩაღურ ნებით მობძანდება
ეშლება მოლოზნის და ბერის მანტია.
სიერცეში დადიან უსახო ლანდები
და გზაზე ზედაშის სანთლები ანთია.

ეროვნული
ირგვლივ სიწყნარე და მყუდროება სუფევს.
მთვარე ყვითელ ფარჩით მთებზე დაქანდება.
მალე გაიღვიძებს მძინარე მუშია,
მოვა გათენება... დახანდება.

**ი. მოსაშვილი.**

---

რაკი უცვლელად ვერ გამიძლია,
ამ შენობაში ენთოს ხანძარი!
მთელი ქონება ბევრად იძლია
და მეც ნამწვავი ერთობ დავძარი.

მაყურებელმა არც ერთი ბადლით
უბადლესობა აღარ იცოდა.
ვენთები, თუკი ასეთი მადლით
აღარ გაჩნდება ახალი ცოდვა!

$19\frac{25}{XI}22$

**ბაბილინა.**

---

სმელამ მთვარეს აკლია სხივი—
ვაი, მიჯნურებს, რა ეშველება!...
განშორების ჟამს სული მაქვს ცივი...
ოჰ, რა ძნელია მზის დაბნელება!...

მე დავრჩი მარტო, ოდეს შენ წადი:
ფიქრი წითელი როგორ დავსტოვე?!..
შენ იყავ ჩემთან ეგ წელიწადი—
და განშორება ვით არ ვიგლოვე!...

აწ არ გვექნება ჩემს ფანჯარასთან
გაკვეთილები სალამოს ჟამის;
არ იცეკვებენ ტრფობის ჯარასთან
სხივები შენი თვალთა წამწამის...

მოგონებანი დაფარევენ ჩემს სულს,
ისე, ვით მგოსანს გედის სიმღერა.
გაეცინება საზიზღარ ავსულს
ჩემი ერთგულათ სარკეში ცქერა...

დღეს სახალისოდ ვერ დამიდამებს
ლურჯი ფრინველი, ღამის ღობილი
უთვალავს მასმევს ყოველდღე შხამებს
მებატიანე დაუნდობელი.

აგვისტო,
1921 წელი.

ს. ფურუშაძე.

## როლი ნიაღვარში:

წალეკავს ქალაქის ქუჩებს,
ეს ნიაღვარი ავი
და დავაკვდები ტუჩებს,
როგორც უვნებო კრავი.
არ არის ვნება ისე,
როგორც წუხანდელ ღამეს.
ამ ნიაღვარში მისანს,
ბევრი გაუგებს გამჟებს...
მე ვიცი მხოლოდ ერთი,
ეს ნიაღვარი დიდი,
მდინარეს ხიდში ერთვის.
ქალაქიც მძიმედ მიდის...
და დავაკვდები ტუჩებს,
როგორც უვნებო კრავი.
და ყველას დავაყუჩებ,
ყრუ მოგონების ზვავით.

**ირაკლი ყანჩელი.**

---

## კ ა ე ნ ი.

(ბალლადა)

მალრიბს ჩაქრება ცეცხლის მადანი,
კუპრი დააზრჩობს მიწის ნაპრალებს;
აფირუზდება ცის კაბადონი
და გამოაჭყეტს მილიონ თვალებს...

უცებ შეიძვრის მიწის ნაპირი
და გადასკვნილი მთებისა წყება
ჩამოინგრევა და გულ-ნატირი,
სადღაც უფსკრულში ჩაინარცხება...

ქვეყნისა პირი გახდება სწორი:
თითქოს ღვთის რისხვით გადაითელა.
დარჩება მხოლოდ ერთი კენწორი
ევერესტისა ვეებერთელა...

ჯოჯოხეთური დარეკავს ზარი,
მთა ნაპრალებით დაიხლართება:
და შავი კაცი უზარ მაზარი
მის კენწეროზე აღიმართება.

გამურძკვნილ თმა წვერს ცეცხლში არებენ
შავი თვალები დანაფეთები;
ძარღვულ თითებით მოწანწკარობენ
ლალით ნაფერი სისხლის წვეთები...

მკერდს შეიკუმშავს, როგორც საბერველს,
კუნთებს და ნერვებს დასჭიმავს ჰალზე,
და მის გარშემო გაშლილ მინდორ-ველს
ერთს შეუკივლებს საოცარ ხმაზე...

წამოიშლება ბოროტ სულთ კრება:
ქაჯნი, ჭინკები და ძმის მკვლელები...
სისხლის ნაკადით დაიფერება
მთელი მსოფლიოს მინდორ-ველები...

ყველგან იწყება ქაჯთა ქორწილი,
სისხლით გავსებულ ყანწთა ტრიალი...
ხითხითებს ჭინკა ტანდალორწილი,
მიდამოს იკლებს მდევთა ღრიალი..

შავი რაინდი მაღლით დასცქერის
ამ გასაოცარ სანახაობას,
და კმაყოფილი იმ ხმაზე მღერის,
რომ არ სმენია არც ერთ თაობას...

მაგრამ უეცრად: ცა ანთებული...
საგანთიადო სხივთა შეხება...
მიწას მოსწყდება ქაჯთა კრებული,
სადღაც უფსკრულში გადიჩეხება...

შეკრთება კაენ მწვერვალზე მდგარი:
სახე მრისხანედ დაექუფრება:
კბილების ღრჭენით, ვით. გარეწარი,
ზეცას მუშტებით დაემუქრება,

შემდეგ მოსწყდება მწარედ მგმინავი,
გადაეშვება შავ ნაპრალებში,
და მისი კვნესა გულგამგმინავი
დიდხანს მოისმის მთის ღარღამეებში,

**ს. ფურუშაძე.**

ტფილისი 6 დეკ,
1922 წელი,

---

## მ ს ხ ვ რ ე ვ ა

რამ ალაგზნო ეს ვაჟკაცი, ან ის ქალი რამ მოთენთა!
რად ამოთქვეს ურთიერთად: — ჩემო ღმერთო! — ჩემო ღმერთა!
ასეთ ყოფნის აქ საზღვარი ვერავინ ვერ გადალახა.—
ახარხარდა ძირს სატანა: — ჰა, ჰა, ჰა, ჰა! ხა, ხა, ხა, ხა!..
ზეციდან კი ანგელოსმა მიწას ცრემლი დააფრქვია...
ამაოა არსებობა, თუ სიცოცხლე ამას ჰქვია.

9 დეკემბ.

**ბაბილინა.**

---

* * *

სხ. ამცდებოდა უბედურობა,
რომ მე მქონოდა ზედ ამულეტი;
კარგად დაუჯდა ჩემთან ხუმრობა
მუზას, — მივუძღვენ, ხედავთ, კუპლეტი!

**ბაბილინა.**

ნოემბ. 10.

---

ეროვნული

## პრელიუდიები.

I.

ტყე სევდიანობს, შრიალებს, შფოთავს
მდინარე ჩუმი ხმაურით გოდებს
სუსტი ენთელა ეკვრის მათოთას
და სუნთქვა არხევს ჩინარის ტოტებს.
აქ შუა ღამის გაისმის გლოვა
არია კრძალვით ციმციმებს, მოგვდევს,
მგონია ტყიდან ვინმე გამოვა
და ცოცხლებს გულზე დაგვადებს ლოდებს.

II.

ხვეულ წავარნებს რად ამოვყევით?
რაზედ ვეძლევით მჭრელ ასპალადებს,
ჩავიდეთ კარგო იმ ხევში ქვევით
და ჩამოვშორდეთ ამ მმოძრავ ლანდებს.
სახეთა მწკრივი ამოუცნობი
ბუნდოვან ტოკვით არ გაგვახარებს
წამოდი ლექსებს გიმღერებ გრძნობით
და გაგიტაცებ ოცნების მხარეს.

III.

„ეს საიდუმლო ლოდად მაწევია
ვერ გამიგია რად მტოვებ, რადა?!
გახთი გაზედულ, ამაყ მედეათ
და მომავალსაც ახადე ფარდა,
მე შენთან მინდა". სთქვი და თვალები
ვერცხლისა ნამმა აგიელვარა
შუბლზე შემეხე თლილი ლალებით
და გულზე თავი დამადევ წყნარა.

IV.

ო, როგორ ვსწუხთი გუშინ ამ დროზე
რომ ვერსად შეგვხდი და ვერა გნახე
დღეს კი არ ვიცი ჩავჩუმდი რაზე?
და ჩემ გულის თქმას რად მალავს სახე.
რატომ არ ძალმიძს ბაგე გავხლიჩო
და ჩავაჩუმო ეგ სიამაყე
ოცნება ზეცას ჩამოვაგლიჯო
თუ ამ ოცნებას ზევით თან აჰყვე?!

V.

შენ პასუხს ითხოვ, რა გიპასუხო?
მე ხომ მონა ვარ. მონა და ეგ მლევს
შეფოთლილ კოკრებს ბედი დასუსხავს
და იმედებსაც დაადებს ძეგლებს.
მაგრამ თუ ერთხელ შენი თვალები
კვლავ ვერცხლის ნამმა შეასოველა
ვერ შევსძლებ ბრძოლას დავიღალები,
და დამეკარგვის შენს გარდა ყველა.

VI.

ნაზი თითებით ფრთხილად, სულ ფრთხილად
ოდნავ შევეხე შენ გრძელ წამწამებს
შენ კვალად ზიხარ თვალებ დახრილი
და მე კი ვკინძავ საამურ წამებს.
მაგრამ უეცრად მახლობელ ხევში
ქოტმა შავ სიკვდილს უმღერა შესხმა
აჰ, ყვავილები მაჭკნება ხელში
და მტანჯავს ღამე. ცრემლს და... ეს ხმა...

VII.

აქ ყველაფერი გადარეულა
აქ ყველაფერი გამხთარა არვად
ღრუბლები თავზე დაგვყურებს მტრულად
და დაძრწის მთვარე ავადმყოფ ქარვად.
სამრეკლოს თავზე ეშვება ქორი
და იალქნურად ფრთებს ათამაშებს
აქ ამ საყდართან სამარეთ შორის
ჩვენ წავაგავართ დაბნეულ ბავშებს.

VIII.

შენ ამბობ: „ეს ხომ ნამდვილად გჯერა
რომ ჩვენც ოდესმე დავსამარდებით
ჰო, მოვა დაკრავს სიკვდილის ჯერი
და ჩვენც მოგვრთამენ ფერ მკრთალ ვარდებით.
ამ სხეულს მიწა სულ შემოგვაცლის
ასხმულ ძვლებს დაჰყრის ის უსუდაროთ
და მოკლე ჟამი ჩვენი სიცოცხლის
მწუხარებაში რად გავატაროთ?!"

IX.

ძვირფასო ჩემო, დამტოვე მარტოთ
მარტოთ დამტოვე ჩემს უდაბნოში
აქ ჰორიზონტი იშლება ფართოთ
და ველ ბუჩქნარში დავდივარ ქოშით.
დღით ნისლის კაბას ცა გადამალავს
ყვავილებს მხურავს როცა ღამეა
გიჯობს ნუ მიხმობ თორემ გადაგწვავ
ვით პოლიორკეტს სწვავდა ლამია.

1920 წ.

**საფო მგელაძე.**

## ელეგია.

არ ვიცი ზეცა რად არ იქუხებს,
რათ არ იქუხებს, არ წამოვა ცეცხლის ქარები;
რისთვის არ დასწვავს ტბებს შენაგუბებს,
რად არ იმსხვრევა ბოროტების ბნელი კარები...

მე—ვით მცენარე, ფესვებ გამხმარი,
თითქო გვალვაში ველი წვიმას, ველი ნიაღვარს:
როდის დაწყნარდეს მწუხრისა ზარი?
როდის წასკდება შვების ღიმი მგლოვიარე ქნარს?..

დღეს განდევნილი დაბურულ მთებში,
გაწირულებით, გესლით, საავით;
ვტრიალებ უნდო, გიჟ ცხოვრების ლაბირინტებში,
ველი: იცვლება ქარტეხილი წყნარი ნიავით?..

15 თებ. 1922
დედა-ქალაქი.

**ა. ნაქერალელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შუაღამე ქალაქში.

ქუჩა. შუაღამე. ელექტრონის აფეროდება:
ქალაქის ძილი, იდუმალი ხელით ნაბანდი.
ცის ამბიონზე გადარეულ ღრუბლის ნაბადი.
შავ სასახლეში სილუეტთა გამარადება.
ქუჩა. შუაღამე. ელექტრონის აფეროდება.

ო, როგორი ხარ შუაღამევ ძველი ქალაქის!
მოწყენილ ქუჩებს გუშაგობენ მხოლოდ ძაღლები.
ამ სიბნელიდან ვარსკვლავებთან გადასახლებით
შემოისუდრა მღუმარება ცრემლით ნალაქი.
ო, როგორი ხარ, შუაღამევ. ძველი ქალაქის.

მერამდენეა ამ ქუჩებში ასეთი ღამე,
ან რამდენია გათენება მოსალოდნელი?
როდის მოკვდება პროცესია უაზრო ბნელი,
ვინ გადაირბენს ამ ეკლებით დახლართულ გამეზს,
მერამდენეა ამ ქალაქში ასეთი ღამე?

**ა. მაღულარია.**

## ჩემი წამება იწყება ღამე.

(პატარა შვილის—დუჯოს ხსოვნას).

შეუმჩნეველი არ დარჩა არვის,
რომ მარტოდ მარტო დავალ ერთავად.
სახის ფერი მაქვს ყვითელი ქარვის,
არავინ იცის რათ გავხდი ავად.

მომაგონდება ათასი რამე
და გული დარდით დამეხურება.
ჩემი წამება იწყება ღამე,
დუჯო რომ ტკბილად არ მეხუტება.

აღარც აკვანი, აღარც ნანინა..
გამეფებული სიჩუმე მკვდრული!..
ჩვენსავით ელდა-ნაკრავი ბინა
და სიმწრით დედა პირ მოკუმული!.

ო, ვინ რა იცის რათ გავხდი ავად!..
ან რისთვის დავალ ობლად ერთავად?
ჩემი ოთახი დაცარიელდა!
ღია დასტოვა კარები ელდამ..

**ქნარი.**

## შეგონდგომის ფრაგმენტი.

ტაენარცხენი ყრუ სარეცელზე,
მხედართ-მთავარი მიგზავნის რაშებს,
ველური ქარი გაირბენს ველზე
და გაშხმარ ფოთლებს აათამაშებს,

წინ შემომხვდება ჩემი მეგზური
დემონი, ჭლექი და შემოდგომა,
ვიღაც მიძახის; „რისთვის მემდური
და გარდამკოცნის მე შერელომა.

მივალ. მახველებს, მისკვდება გული,
ყვითელ მინდორზე დაჰქრის ქიმერა;
მიძახის:—„მე ვარ შენი ერთგული
და ყვავ-ყორნების მესმის სიმღერა.

გამჭვირვალეა ეზო და ბაღი,
თვალი ვერ შთანთქავს ცარიელ სივრცეს...
ძალით ამხადეს ფარ-იარაღი...
მე მღალატეს... და სიკვდილს მიმცეს.

**ი. ხინველი.**

## ღამურა.

მომაკვდავ მზის სხივებზე ნიავს სურდა ეფრინა
ყვავილთათვის შიქასტა ერთხელ კიდევ ესმინა.
ბინდმა სიოს სურვილი შავფიქრებით გამურა—
ზედ ვით ქოლგა გაშლილი აფარფატდა ღამურა!
ჰე, მწუხარე ოცნება, ზოგჯერ სევდისა ამშლელო,
გერო მზიურ სიცხოვლის უკუმეთის დამცველო!
ვინ გიხილოს, რომ არ სთქვას წყევა ზიზღით ნაფარი,
ვის რად უნდა უბედო სიმახინჯე მაგვარი!..
მაგრამ ზოგჯერ ვოცნებობ შენს გაბედულს ნავარდზე,
მრცხვენის, რომ მხდალ სიცოცხლეს ვლექავ ცრემლთა ჯავარზე
ვამბობ: ისევ შენ სჯობხარ ერთ დროს მთაზე ნაყივლსა,
დღეს კაცის ხელს შეჩვეულს მოლაქუცე არწივსა.

ქ. ტფილისი
1922 წელი.

**მ. უზნაძე.**

## ნესტიან ოთახიდან.

ნესტიან ოთახში ტიროდა როიალი
სახლის სახურავს ათრობდა მზის სიელვარე..
მივდიოდი ქუჩაზე მარტო ფიქრებით მთვრალი
„ეს ქვეყანა შენ გქონდეს“ მეჩურჩულებოდა სული
მე უარით უპასუხებდი..
ჩემს წინ ილიმებოდა შუა სარკმელზე დაყრდნობილი ქალი
მისი ღიმილი მძიმე იყო ვით ცივი რკინა
მისი სახე ჩემს სახეს სიყვითლეს ჰგვანდა
მე ყინით მთვრალმა შევხედე მას
„ეს ქვეყანა თქვენ გქონდეს ჩემთვის უგემურია“..
როიალის ტირილი
როიალის ხმებმა მე შემაჩერეს
ვით უსინათლო ჩვეულ ინსტიქტით ქვებით არეულ
ტროტუარზე
ხა! ხა! ხა! გაგიჟებულია საბრალო
ქალის ირონია
გიჟი შენთვის ვარ—ჩემთვის ჭკუიანი..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუპასუხე მე თამამად.
ქალს ეწყინა ჩემი სიამაყე.
მე მოლოდინელული გადავიარე დალმართი;
როგორც ზღვის მუქარა თმა გაწეწილ ქარში.
მის შემდეგ შემძულდა როიალის ხმა
ნესტიან ოთახიდან.
შემიყვარდა ბნელ ქუჩაზედ მარტოდ ხეტიალი.
— გიჟია, გიჟი! უბედური, ხა! ხა! ხა!
კვირაში ერთხელ ირონიით ჩამძახებს იმ ქალის ლანდი,
მაშინ, რომ ვნახე სარკმელთან დაყრდნობილი,
ვით კეთილი ბერი სამლოცველოს კარებთან.
მე გავბოროტდი...
მალე უნდა უარვყო საქმე.
მასში ჩემი ყოფნა ტანჯვაა.
ო, როგორ მინდა საკუთარ ცრემლებით ავავსო ქალაქი
და ის ქალი დახრჩობისას შველას მთხოვდეს
მე უარით ვუპასუხებდე.
ცრემლების მეფე.
ღმერთი ჩემი ბოროტებისა...

22 წ. ნოემბერი
დედაქალაქი

## ო, ანგელოსნო იყავით დები.

ზამთრის ცრემლები სარკმლებზე დაღვრილი.
სიცივე მზისა ქვიან კედლებთან—
ღამე კინვებში მეტად დაღლილი,
დილის კუბოში დნება ლანდებად:

დიდი ხანია რაც მე უარვყავ
სისხლნარევ წყალით დაბანა პირის.
სასტიკი მტერი კიდევ ძმურად მყავს,
აშკარი გული ხომ კვნესს და სტირის...

გადასვენებამ მე შემოდგომის,
ზამთართან შური დამათესია,
მზის სიელვარე და ქარის ომი,
ჩემს ცხოვრებაზე უკეთესია.

— ზამთარს არას დროს—შევურიგდები.
მე ზაფხულს ვგლოვობ სიცილით შენთან!..
ო, ანგელოსნო იყავით დები
და ამიყვანეთ უშიშარ ღმერთთან!...

22 წ. დეკემბერი
დედაქალაქი.

## ჰედის დღეობა.

არის ნაზი მზეობა
ღამის ყინით მთვრალი.
ჰედი, თქვენი დღეობა
მოდის როიალით!...
მძიმე წამი ნელდება,
ამ ლოდინის თრთოლებით.
გულიც არ გიბერდებათ
თქვენი დღის მოგონებით!..
ვით პეპელას ყვავილი:
ეს დღე თქვენ გიხარიათ;
დაბადების წამია,
და სიკვდილის ტირილი.
მეგობრები მოდიან
ვაზებით და ვარდებით.
უქალობა როდია?
მოდის ლალი დებით!..
არის ნაზი მზეობა.
ღამის ყინით მთვრალი.
ჰედი, თქვენი დღეობა
მოდის როალით...

**შალვა ჯანბერიძე.**

22 წ. ნოემბერი
დედაქალაქი

## ჰერმან და დოროთეა.

(გოეთედან გერმანულით ნათარგმნი).

**პროლოგი**

მაშ ეს ბრალად მიძს, რომ ერთხელ მე პროპორციომ ალმაგზნო,
რომ მარციალოც, თამამი, შემომიერთდა აგრეთვე,
რომ ძველნი მე არ დავტოვე ჩემს უკან დაცვად სკოლისა,
რომ ცხოვრებაშიც თან მომყვენ ლაციუმიდან ისინი;
რომ ხელოვნების, ბუნების სწორად განჭვრეტად მივილტვი
რომ სხვის სახელი არ მაკრთობს, რომ რამე დოგმა ვერ მზღუდავს?
რომ იწროებამ ცხოვრების მე, კაცი, სულ ვერ შემცვალა,
რომ ავიძულე ნიღაბი მდაბალი პირმოთნეობის?
ამ ნაკლით, რომელთ შენ, ო მუზა, ულოლოებდი გულდასმით,
ბრბო მე ბრალად მდებს, ჩემს შორის ოდენ სიავეს იგი ჰშზერს.
დიაღ, თვით საუკეთესოს, ალალ-მართალს და სახიერს
სწადს შევიცვალო, მაგრამ შენ მარტოდენ, მუზა, გმორჩილებ;
რადგან შენ ერთადერთი ხარ, ვინც სიჭაბუკე სულისა
კვლავ დამიბრუნე და იგი სიკვდილამდე მე განმიკუთნე,
მაგრამ ან გაორკეცე, ო ღმერთო, წმიდა ზრუნვაა!
ახ, საფეთქლებსა ხუჭუჭნი სიხშირით ველარ ამკობენ:
მაშ საჭიროა გვირგვინი თვის და სხვის სატყუებელად;
თვით კეისარიც იდგამდა მას, მხოლოდ რადგან სჭიროდა,
თუ მეც მარგუნე დაფნის რტო, დე, იგი თავის ტოტზედა
კვალად მწვანობდეს, და მერმე სხვას მიეც, უფრო ღირსეულს.
მხოლოდ ვარდები დამიწნენ ოჯახურ წრისთვის საყოფად;
მალე ისე ვით ზამბახი ვერცხლის თმა ჩაიბლარდნება!
დააგუზგუზოს მეუღლემ ცეცხლი და კერძი მოხარშოს!
წკნელი შეუწყოს ბიჭიკომ თამაშით, თანაც გულდასმით!
კათხაში ღვინო არ აკლდეს მოლაყბე ე მეგობრები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამაზრეელნო აქეთქენ! გვირგვინნო, თქკენ მოგელიან.
ჯერ სადღეგრძელო იმისი, ჰომიროს ვინც სახელისაგან
გაბედვით თავისუფალ გვყო, ჩვენც გვიხმო დიდ ასპარეზზე,
თუ არ ეს, ვინ გაბედავდა ღმერთებს შებმოდა, თუნდ ერთსა?
ჰომერიდე კი რომ იყო, უკანასკნელიც, კარგია.
მაშ ყური უგდეთ ახალ ლექსს! ჯერ ერთხელ კიდევ დავლიოთ;
ღვინო, ძმობა და ტრფიალი: ეს მოისყიდის თქვენს ყურსა!
თვით გერმანელებს მოვიყვან მე თქვენთან მყუდრო ოჯახში,
სად კვლავ ბუნების ახლოსა კაცი კაცურად იზრდება;
სული თან გვდევდეს პოეტის, რომელმაც თვისი ლუიზა
უცებ, ჩვენს ალსატაცებლად, შერთო ღირსეულ მეგობარს.
წარსულ დროთაგან გარდვიშლით სურათებს სამწუხაროსაც;
მაგრამ დე, სილ მოდგმას შორის მხნე სულმა გაიმარჯვოს
სიმღერით თუ მოგადინეთ თვალს ცრემლი მოგაფინეთ
გულს სიხარული, მოდით და გულს ჩამეკარით გულითა!
ბრძნულ იყოს მაშინ უბნობა; სიბრძნესა ჩვენ საუკუნე
გვასწავლის ბოლოს; ვინ იყო რომ ბედმა არ გამოსცადა?
აწ მეტი მხიარულებით, შეჰხედეთ წარსულ ტკივილებს,
თუ სიხარულით შეიცნოთ ბევრი რამ ამაოებად!
ადამის მოდგმას, ნაცრიებს ვეცნობით; მაშ მო; აწ ჩვენის
საკუთარ გულის გაცნობით გავიხაროთმცა ჩვენ იგი.

# კალიოპე

**ბედი და თანაგრძნობა.**

მე ბაზარი და ქუჩები ასე ყრუდ ჯერ არ მინახავს
ქალაქი გამოხვეტილს ჰგავს თითქო გამწყდარა! ხუთათიც,
მგონია, არ დარჩენილა აქ ყველა ჩვენი მცხოვრებთაგან.
ცნობისა მოყვარეობა რას არ იქს! ყველა ისწრაფვის,
რათა გარება მწუხარე საწყალ ლტოლვილთა იხილოს.
ხრეშ გზამდე, სადაც დევნილნი გარდაივლიან, მანძილი
ერთი საათის სავალი მაინც იქნება და მაინც.
მაგრამ ხალხი კი ამ შვადლეს ცხელს სილნარებში იქ მირბის.
მე იმად ვერ დავიძვროდი, რომ განმეცადა ვაება
კეთილ ლტოლვილთა, რომელნიც გადარჩენილი ქონებით
აწ სამწუხაროდ, რაინის ტურფა გაღმა-მხარს მოშორდენ
და ჩვენკენ გადმოხვეწილნი ამ ნაყოფიერ დაბლობის
ნეტარ კუთხეში და იმის ხეეულებს შორის გადიან.
კარგად ჰქენ ეგი, ო ქალო, რომ გულუხვებით ჩვენი ძე
გაგზავნე იქ ძველ ტილოთი, სასმელ-საჭმელით, რომ საწყლებს
...ს დაურიგოს; რადგანაც გაცემა მდიდრის საქმეა.
რა მოაქანებს ყმაწვილი! თავს რა უკავებს ბედაურთ!
ლამაზად მოჩანს ეტლიცა ახალი; მოხერხებულად
მოთავსდებოდა შიგ ოთხი და კოფოზედა მეეტლე.
ახლა ის მარტო გაქანდა! კუთხე რა მარჯვედ შემოვლო!
ასე ეტყოდა ბაზრის პირს სახლის ჰიშკარზე მჯდომარე
სათნოიანი თავის ცოლს „ოქროს ლომისა" პატრონი.
და ეს მიუგო ამაზე ჰკვიანმა დიასახლისმა:
მამა, მე არ-წადილითა ვარიგებ ნაცვეთ ტილოსა;
ის ბევრ რამეში იხმარვის და ფულით არ იშოვნება,
თუ კაცს როგორმე დაგჭირდა. დღეს კი სიამით გავეცი
ბევრი რამ კარგი ნაჭერი საურად თუ პერანგებად;
რადგან დღეს ბევრი რამ მესმა ყრმათა და მოხუცთ შესახებ,
რომელნიც შიშვლად დადიან. მაგრამ შენ ხომ მაპატიებ?
რადგანაც შენი განჯინაც აგრეთვე დარბეულია.
მეტადრე, შენი ხალათი ინდურ-ყვავილებიანი,
ნაზი ჩითისა, თივთიკის ნაზი შალის სარჩულით,
გავეც მე; იგი თხელია და ძველი, მოდით გასული.
ამაზე გაიცინა და სთქვა კარგმა სახლის პატრონმა:
მაინც ვშორდები მას წყენით, იმ ძველსა ჩითის ხალათსა,
ნამდვილ ოსტინდურ საქონელს; მსგავსს კაცი ველარ იშოვნი.
კეთილი! მას არც ვხმარობდი. დღეს, მართლა, ყველა გვარწმუნებს,
რომ კაცი მხოლოდ სერთუკში უნდა ვიდოდეს და ხალხში
ბეკეშით უნდა ჩნდებოდეს, მუდამ ჩექმებში მავალი,
რადგანაც ყალაფაკი და ტუფლები განდევნილია
დახე! სთქვა ქალმა, აგერა ზოგ-ზოგი უკვე ბრუნდება.
მათაც ნახეს ხალხის გარება, რომელმაც ალბად განვლო გზა.
დახეთ, რა ყველას ბაშმაკი დამტვერიათ და სახენი
დასწითლებიათ! სულ ყველა ცხვირსახოცითა იხოცს ოფლს.
ვერ ვინდომებდი ამ ბუღში მე ამგვარ სცენის სახილვად
გაქცევას და გაწვალებას! სწორედ მეყოფა ნაამბიც.
და კარგმა მამამ ამაზე ეს უთხრა დაბეჯითებით:
მსგავსი ამინდი ძვირად თუ შესწრია მსგავსსა მოსავალს,
აწ შევიტანოთ ჩვენ პური, ვით უკვე თივაც, სიმშრალით.
ზევით ცა მოწმენდილია; ღრუბლის ნაჭერიც არსად ჩანს,
და დილიდანვე ქარი ქრის რამ საამური სიგრილით.
ეს ამინდია უცვლელი! და პურიც უკვე მწიფეა;
ხვალვე დავიწყოთ ჩვენ მომკა ხვავიან მოსავალისა.
როს ასე ლაპარაკობდა, თანდათან იქ მატულობდენ
კაცთა და ქალთა გუნდები და ბაზრით შინ მიდიოდენ.
უკანვე ეტლით მიჰქროდა თავისი ასულებიანურთ
ბაზრის მეორე მხარეზე თვის გაახლებულ სახლებში
მდიდარი მეზობელიცა, ამ კუთხის თავი ვაჭარი,
ღია ეტლითა (ეს იყო ქალაქ ლანდაუს ხელობა).
ქუჩები სულ გამოცოცხლდა, რადგან პატარა ქალაქი
მჭიდროდ ესახლა; აქ დიდძალს ქარხნებს და საქმეს უძღოდენ,
და ასე ორი მოკეთე, ჭიშკარზე მჯდომი, ირთობდა
გამვლელებზე და თავის თავს სხვადასხვა შენიშვნებითა
ხოლო დასასრულ დაიწყო ღირსეულ დიასახლისმა:

დახეთ, ეგერა მოძლვარი მოდის და მეზობელიცა,
მეაფთიაქე, მასთანვე. მათ უნდა გვამცნონ ყოველი,
რაც განიცადეს გარეთ და რის განცდაც კაცს არ ახა-
რებს.
ორივ მეგობრულ მივიდენ და ცოლ-ქმარს მიესალმენ.
ჩამოსხდენ ხის მერიხებზე ჰიშკრის ქვეშ, ფეხთა მტვრის
რეკვით
და თანვე ცხვირსახოცებით სახეზე სიოს ქიქინით.
მაშინ დაიწყო პირველად, შემდგომ ურთერთის სალამის,
მეაფთიაქემ უბნობა და სთქვა თითქმის რომ წყენითა:
ასეა მართლა კაცის ძე! და ერთი მიჰგავს მეორეს,
რომ მიჩერება უხარის, თუ მოძმეს ავი შეემთხვა!
ყველა ხომ ილტვის, რომ ნახოს ცეცხლი შთამთქმელად
ზე-მცემი,
ან ავაზაკი საწყალი, რომ მიჰყავსთ სასიკვდილოდა,
ან ყველა გარეთ სეირნობს, რომ ნახოს დევნულთ ვაება
და არავინ კი არ ფიქრობს, რომ მასაც ბედი იგივე
შესაძლო არის ეწიოს სულ მალე, ან მყოობადში.
მიუტევებლად მიჩანს მე ასეთი განუსჯელობა,
მაგრამ ის არის თვისება ბუნებით კაცის შორისი.
და ეს სთქვა შემდომ ჭკვიანმა, კეთილშობილმა პასტორმა,
მან, ქალაქისა შვენებამ, ჭაბუკმა დაკაცებულმა.
ამან იცოდა ცხოვრება, იცოდა მსმენელთ წადილნი,
იყო ცა საღმრთო წესრილის მაღალ ღირსებით გამჭვალულ,
რაიც კაცთა ბედს ამჟღავნებს და ყოველთ მათთა ზრა-
ხვათა;
და მან კარგადვე იცოდა წერილნიც საერონია.
ამან სთქვა: მე არ სიამით ვძრახვ მას, რაჲც კაცის ძეს
უვნებელ მიდრეკილებად აკუთვნა დედა ბუნებამ.
რადგან რაც ჭკუას, გონებას არ ძალუძს, ხშირად ძა-
ლუძდა
ბედნიერ მიდრეკილებას, რაც ჩვენ მძლეობით წარგვმარ-
თავს.
თუ ცნობის მოყვარეებასა ძლიერი მიმზიდველობით
არ მიეტყუა კაცი, სთქვით! ოდესმე ის შეიცნობდა,
თუ ვითარითა შნოებით ამა ქვეყნისა ნივთები
ურთერთში განიწყობიან? რადგან ის პირველ მოითხოვს
ახალს და შემდგომ ეძიებს სასარგებლოსა ბეჯითად;
ბოლოს სწყურის მას კეთილი, რაც მას ამაღლებს, ღირ-
სად ჰყოფს,
სიჭაბუკეში იმისი ხალისიანი მგზავრია
განუსჯელობა, რაიც მას საფრთხეს უფარავს თვალთაგან,
მწვავე ვაების კვალს უქრობს კეთილმყოფელი სისწრაფით
როგორც კი უბედურება, ოდნავაც არის, გაივლის.
უცილოდ საქებარია ის, კაცი ვისაც სიბერეში
ეს სიხალისე ბუნების დამჯდარ გონებად ეცვლება,
ვინც ბედს და უბედობაში მხნედ და გარჯილად წინ
ილტვის;
რადგან ის კეთილს წარმოშობს და ზარალს ანაზღაურებს.

**ვარლამ დონდუა.**

(შემდეგი იქნება)

---

## ვინ ვარ მე.

**კარა დარვიში.**

მე დაბნეული მეოცნებე ვარ — მთვარე და ვარ-
სკვლავებია ჩემი ოცნება.
მე მკვდარი ვარ მიწიერი ვარ — მიწა და — ბუნებაა
ჩემი ფესვები.
მე ფხიზელი დარაჯი ვარ — ყოველ დირიჟაბლების
მცველი-მეთვალყურე.
მე მხოლოდ მოქალაქე ვარ — მსოფლიოა ჩემი სამ-
შობლო.
მე ადამიანი ვარ და ადამიანია ჩემი მეგობარი — ჩემი
მოძმე.
მე სატრაპი ვარ — თვითმყრობელი — ყოველ ორპირთ,
ფარისეველთა სულთამხუთავი ვარ.
მე ყრმა ვარ. ბატკანი, მტრედი და ბავშვი — ყოველ
მართალთა ხუნდი, მათ სურვილთ აღმასრულებელი.
მე ამპარტავანი გოროზი არქანაშის ძე ვარ — პირვე-
ლი სომეხი, რომელსაც მიყვარს სომხის ერი, რო-
გორც ორმოცი ათასი გმირი ძმანი.
მე ბოლშევიკი ვარ — ფეხის ფრჩხილებიდან დაწყებუ-
ლი თავის თმის წვერამდის დემოკრატი-სოციალისტი.
მე ანარხისტი ვარ — რისხვა და სიკვდილი ყოველ
ქვეუგრძნო გულებისა.
მე მაქსიმალისტი ვარ — ფესვიანდ ვგლიჯავ, ვიღებ,
რაც რომ დამპალი, დაძველებული და გამცვდა-
რია. მე ფუტურისტი ვარ — ამპარტავან კერ-
პთა დამსხვრევი, წმინდა ძეგლთა მქცევი-ვანდალი.
მე გაგიჟებული საყვარელი ვარ — მწველი ამბორებით
ვრუჯავ სატრფოს მკერდს და ბრაზ-მორეული მკლა-
ვებით ვიკრავ ქარიშხლიან გულ-უბე მკერდში.
მე ყველაფერი ვარ და არაფერი ვარ.
მე კარა დარვიში ვარ.

მთარგმნელი **ანტონ აუშტროვი.**

---

## საუბარი მაღლიდან

როგორ ჰკივის ოქტომბერი. თვე დაზამთრების.
ჰო რა მთვრალი ვარ ღვინით, ღამით და შემოდგომით.
მყუდრო ოჯახი! (? ჰმ!) ქართული სუფრა. დიასა-
ხლისის ვნებით ჩურჩული
— ცოტა დალიე ჩემო ძვირფასო და როს სტუმრები
დაიშლებიან...
მაგრამ ღვინოს მომაწვდიდენ და არ დავლევდი?
თამადა შემეჯიბრა — გავექცეოდი?
და მთვრალი ვარ ეხლა.
მთვრალი ვარ — არ მეძინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ გავათიოთ ღამე ცბიერი ვით მონაზონი?
ეჰ, რა ატირებს ნეტავ ქუჩაში საცოდავ ძაღლს?
შესაფარს ეძებს? აკანკალებს ოქტომბრის ქარი?
კეთილო ძაღლო, წამომყე მთებში.
დავიკრავ ფეხზე თხილამურებს. წავიდეთ მთებში.
შენ არ იცი იქ მთებში ქალთა მონასტერში როგორ აწამებს ერთ მონაზონს ქუთუთოთ ირგვლივ მონახაზი წლები დროების?
არ იცი რომ მას უყვარს ლოცვა ნელი ზმორებით და სიზმრები გაზაფხულის?
მას ქმარი მოუკლეს ომში და ლოცვებით სურდა დაეთრო მწუხარება.
მაგრამ ქალი მონაზნობაშიც რომ ქალად რჩება?
და ეხლა შესაძლოა მას აღარც კი სურს იყვეს საძლო ქრისტესი და ჩემზე ოცნებობდეს ქინმორეული?
ვინ იცის. სიყმაწვილეში მე ვუყვარდი მას. გათხოვდა იმიტომ რო ქალი იყო, მონაზნათ წავიდა იმიტომ რომ... რა ვიცი რატომ...
მე მსურს ვიყვე ეხლა მის სენაკში ჯვარცმის წინაშე და ვუთხრა:
ქრისტე მხოლოდ ოცი საუკუნე იყო გაკრული ჯვარზე.
სული ჩემი კი წამებულია დასაბამიდან.
მას ერთ ღამეს სცემეს ყვრიმალში, ჩემს სულს კი დასაბამიდან ფლეთენ მარწუხებით, იგი ღვთაებრივ მოკრძალებას ეზიარა, მე მონის უფლებაც ამხადეს, მას მეუფე უწოდეს, მე ადამიანის სახელიც წამართვეს.
მან დასწყევლა იერუსალიმი და ქვა ქვაზე არ დარჩა იქ.
მეც დავსწყევლე ჩემი სამშობლო როცა ბევრი ტფილისი დაეცა ბრძოლაში,
მაშ ვინ უფრო ღირსია სიბრალულის, ეკლის გვირგვინის?
მაგდალინელი ნელსაცხებლით ჰბანდა და თავის სურნელოვან თმით უშრალებდა ფეხებს იესოს. შენ კი კეთილო დაო, თხილამურების თასმაც არ გსურს შემომხსნა?
კეთილო ძაღლო შენ ისევ სტირი?
არა! მე არ მიყვარს ის მონაზონი. იმიტომ რომ მისი სახე არ მომაგონებს აპრილის მზით გადამწვარ სახეს საბრძოლველად გამზადებულ ამორძალისას, იმიტომ რომ მისი მკლავები, დანამული მაისის წვიმით არას დროს არ აღიმართება ცივ მრისხანებით.
მაგრამ მე დღეს დავითვერ.
ყური არ ვუგდე დიასახლისის ვნებიან ჩურჩულს და აღარ ამისრულა დანაპირევი.
აღარ თენდება.
და სარკიდან მემუქრება მთვრალი ლანდი ჩემი სახების.
კეთილო ძაღლო! ნუ წავალთ მთებში.
მაშ როგორ გავათიოთ ეს ღამე ცბიერი ვით მონაზონი?
შენ არაფრის გეშინია?
მაშ რად შეჰყეფ ბნელით მთვრალ ღამეს?

**მიხ. ბოჭორიშვილი.**

---

## უხილავი საქართველო.

ნამდვილი საქართველო—კოშმარია. ხილული საქართველო—უსულოა, გაუტანელი და შაბლონური გრძნობებით სავსე. ნეკროზი უმაღლესი ფიქრების. პოეზიის მიგნება ან მისტიური გაგება საგნების— ისევე იშვიათია, როგორც მეორე მადონა.

და ხშირად, ძალიან ხშირად, ეს მეტად ნაცრისფერი სურათი რეალური საქართველოსი—იწვევს დიდ ჩაფიქრებას..

მაგრამ ამ ბურუსში ჩვენ ყოველთვის გვანუგეშებს მეორე სამშობლო—ფარული საქართველო, მცირერიცხოვანი პიროვნებებით, მაგრამ მით უფრო ძვირფასი ჩვენთვის. რკალი სადაც სული იღლება მწუხარე მირაჟებით და ქრება სიხარულის ლანდივით.

აქ არის დაღონება შორეულზე და სიჩუმე. **ულრმესი ინტუიცია, მწუხარება და წვა ბოლომდის**—ეს აერთებს მარტოობის რაინდებს. და ჩვენი სული ყოველთვის არის მათთან, ვისაც უყვართ ეს უხილავი საქართველო,—ფარული სარკე, სადაც სევდიანი ფოთლებივით ჩნდებიან **პოეზიის თანამგზავრნი, ლურჯა ცხენები**, და უდიდესი სიმფონია **გამოუცნობ ქიმერების**, გადატეხილი მრავალ მოლანდებად:—

ისმის აგონია **უხილივი ზარების** და **უცნობი ტირილი**, რომელიც ნაზია შემოდგომის ქალივით;—

და

ისახება ლაჟვარდი **სული ამართული ვით ეშაფოტი**, და **სამარადისო მწუხარება** შორეული მეგობრების...

**გობრონ აგარელი.**

## ექსკურსია მცხეთაში *)

მცხეთის უკანასკნელ მამასახლისათ, როგორც ამას მოწმობს საქართველოს მატიანე იყო სამარ, რომელიც დაიღუპა ალექსანდრე მაკედონელის ჯართან ომში. ამ მომენტიდან ძალაუფლება მამასახლისების იცვლება დინასტიურ ძალაუფლებით. ბერძნების წინამძღოლმა აზონმა; გარეკა საქართველოს საზღვრებიდან ქართველ მართველთა წარმომადგენელები, გაამაგრა მცხეთა და დაჰყო 20 წელი (IV ს. ქრ. დ.).

ფარნაოზი, რომელიც გაიქცა დედასთან ერთათ სპარსეთს—ნახა თავშესაფარი თავის ბიძის (დედიდგან) დარიუს III-ის კოდომონის სახლში— მიჰყო ხელი აღმოსავლეთურ მეცნიერებათა შესწავლას, რამაც მიანიჭა შესაფერი განათლება. სპარსელთა დახმარებით ფარნაოზი დაბრუნდა სამშობლოში, დაამარცხა ოდონის მომხრეები—და დაიჭირა მცხეთის ტახტი, რომელზედაც დაჰყო მან 35 წელი. იმ დროისათვის დიდათ განათლებული ფარნაოზი გვევლინება ჩვენ, როგორც პირველი რეფორმატორი საქართველოსი.

მისცა პატარა სახელმწიფოს ყოფა ცხოვრების სწორი მიმდინარეობა და იგი ერთი საუკუნით წინ წასწია. დაიკავა თუ არა ტახტი ფარნაოზმა: თვის რეზიდენციათ გახადა ქალაქი ქართლოსისა, შემოიღო ზროასტრიის სარწმუნოება და შეუდგა თვის ქვეყნის საქმეების მოწყობას. ფარნაოზს თან ჩამოჰყვნენ მცხეთაშიდ: მაგები, აღმშენებლები და სხვა მოხელეები. ყველასფერს ამას ჰქონდა მცხეთისათვის დიდი მნიშვნელობა, როგორც ეკონომიურს ისე სასულიერო დამოკიდებულებისათვის. მცხეთამ მიაღწია განსაკუთრებულ განვითარებას ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ (IV ს. ქრ. შ.). ბიზანტიიდან და სირიიდან ჩამოდიან: სასულიერო პირნი, სხვა და სხვა მეცნიერების დარგში სწავლულნი, როგორც მაგალითათ: მხატვრები ხუროთმოძღვრები, მქსოველები, დურგლები და სხვა მოხელეები, იგზავნება ძვირფასი ძღვნები მონასტრებისათვის და ეკლესიებისათვის. საქართველოს დასახლებულ ადგილებში აშენებენ მონასტრებს და ეკლესიებს, რომლებშიდაც მეცნიერების შესწავლას ჰქონდა საეკლესიო ხასიათი. ბრწყინვალე გვარიშვილები მიემგზავრებიან სწავლის მისაღებათ ბიზანტიაში, იერუსალიმში, ალექსანდრიაში და სხვა ცენტრებში ბიზანტიის იმპერიისა. სწავლას იღებდენ, როგორც საეროს აგრეთვე სასულიეროს. ამასთანავე ერთად გაუნჯობესეს გზები, ააშენენ ქვის ხიდები, გაიყვანენ არხები, რომლითაც საშუალება მიეცათ მიწის განაყოფიერებისა.

აღორძინდა ვაჭრობა ეს პულსი ცხოვრებისა.—აღმოცენდენ მთელ საქართველოში ქალაქები, შენდება შიგ სასახლეები, საქონლის საწყობები. მაგრამ ცენტრი ყოველიფრის იყო მცხეთა, სადაც ცხოვრება სდუღდა. ამ ამრიგათ მიმდინარეობდა ყოფა-ცხოვრება საქართველოს სახელმწიფოს სატახტო ქალაქისა 469 წლამდე, სანამ ვახტანგ გორგასლანი გადიტანდა სატახტო ქალაქს ტფილისშიდ. მიუხედავათ სატახტო ქალაქის გადატანისა მცხეთას არ დაუკარგავს თვისი მნიშვნელობა და ის ითვლებოდა, როგორც ცენტრი საეკლესიო ცხოვრებისა. საეკლესიო კულტურამ საერო ცხოვრებისაგან განთავისუფლებულმა მიაღწია თვის განვითარების უმაღლეს წერტილს.

VII საუკუნეში ორიგინალური ლიტერატურა გაიფურჩქნა, ლიტერატურულ ნაწარმოებების თარგმნა და ისტორია კი უფრო განვითარდა. ხელთნაწერების, წიგნების თარგმნა მინდობილი ჰქონდა ბერებს და მათგანვე ხელოვნურათ იხატებოდა სახარება პერგამენტებზე და მონასტრის კედლები მხატრულათ. XI საუკუნე არის ღირსშესანიშნავი საქართველოს მატიანის ისტორიაში თავით აღმაშენებლით და მისგან საქართველოს გაერთიანებით. ცენტრი სასულიერო კულტურისა მას გადააქვს გელადში ალბათ დროებით, რადგანაც ტფილისი არაბებისგან იყო დაკავებული და მცხეთას საშიშროება მოელოდა მათგან. XI—XII ს. ს. არის ღირსშესანიშნავი საქართველოს ცხოვრებისათვის, ძველ კლასიკთა თარგმნებით და საერო ლიტერატურულ ნაწარმოების განვითარებით. ამ პერიოდში საქართველო აღწევს განვითარების უმაღლეს წერტილს არა მარტო ქართულ სიტყვიერების განვითსრებით, არამედ მის საზღვრების გადიდებითაც. თვის სიძლიერით და შინაგან კეთილდღეობით ის არ ჩამორჩება დანარჩენ მასთან მოსაზღვრე დიდ სახელმწიფოებს.

(შემდეგი იქნება).

ვ. წიღოხანი.

*) იხ. „ჟურნალი“ № 1.

## იაკობ ნიკოლაძე.

საქართველოს შემოქმედის ბედი მუდამ საცეხველის ქვეშ იყო მოქცეული.

საქართველოში შემოქმედება მუდამ მოცლილთა საქმედ ითვლებოდა და აი ამ დაუდევრობის ბრალია რომ დღეს აუარებელ პოეტების, მხატვრების და სხვათა სახელები ჩინური კედელივით გაურღვეველ ლეგენდებით არის მოცული.

ჩვენ მუდამ დავიწყებას ვაძლევთ ხოლმე ჩვენს ძვირფას სახელებს, რომელნიც აუცილებლად დაამშვენებდნენ უცხო ერის პანთეონებს.

ახირებული ხალხი ვართ ჩვენ.

ან გადაგვარებულნი ან ველურნი.

სხვისი ზიზილ პიპილები ჩვენში მუდამ მოწიწებას იწვევენ და ჩვენ, კი არაფერი გვრწამს, მუდამ ეჭვის თვალით უცქერით.

საფრანგეთში რასინსა და კორნელს დღესაც აღმერთებენ, იკვლევენ და ეძებენ მეორე და მესამე ხარისხოვან პოეტებს და ჩვენში კი გენიოსებიც შეუფასებელნი არიან.

ჩვენ მოგვწყინდება ასეთ უბედოთა სახელების ჩამოთვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმარა ასეთი დაუდევრობა.

ჩვენ წინ დღეს დგას მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.

ეს გმირი ქვისა და მარმარილოსი.

25 წლის განმავლობაში იგი ჰფიქრობდა, ოცნებობდა მარმარილოთი და ბრინჯაოთი და მას ხეირიანი ატელიეც კი არ ჰქონდა, რომ გულდადებით ემუშავა.

ეს იყო სასოწარკვეთილება დიდი მხატვრისა, მაგრამ მან ამას გაუძლო და დაბრუნდა ქვების სამყაროში, დაბრუნდა თავის საკურთხეველში და იწყო ლოცვა.

საქართველოში საუკუნოებით განმტკიცებული ტრადიცია მოქანდაკეობისა თითქოს უნდა მომკვდარიყო, თითქოს ლოდი უნდა გადმოსწოლოდა ქართულ ქანდაკებითი შემოქმედებას და მოექცია ქვეშ, გაესრისა იგი, მაგრამ ამ დროს მოიჰრა ანთებული კაცი და შეებრძოლა ამ ლოდებს და დაიმორჩილა იგი. 25 წლის განმავლობაში ებრძოდა იგი ქვას, ეძებდა უსახო მასაში უხილავს ხაზებს და მის შემოქმედების ჩაქუჩის ქვეშ ჰკვნესოდნენ ლოდები.

მან მონახა მეფური სახე „აკაკისა".

მან იპოვნა „საქართველოს მწუხარება" ადუღებულ ბრინჯაოში და აადუღა იგი ცრემლებით.

მან ამოზიდა საუკუნეებით გაცივებული რუსთველის ღვთიური სახე.

მან ააშხუილა ქვაში „თმაგაწეწილი ქარი".

მან „სალომეს" ნებით დასწვა ცივი მარმარილო.

ასეთი იყო იაკობ ნიკოლაძე, ასე დგას იგი გამარჯვებული ფარაონივით იარაღ აყრილ ქვასთან და ჩვენც პატივისცემით და მოწიწებით უნდა მივიდეთ მასთან და თაყვანი ვცეთ მის 25 წლის ბრძოლას მუნჯ ქვებთან.

**დემნა შენგელაია.**

---

## დემნა შენგელაია.

## გალაკტიონ ტაბიძე

(სილუეტი)

მთელი საუკუნის განმავლობაში ჰკვდებოდა საქართველო. იყო ბარათაშვილი და მისმა სათუთმა სულმა იგრძნო მძიმე ავადმყოფ დედოფლის, სასიკვდილო აგონიის დასაწყისი. ბედით დაჩაგრული, მოხელეობით დაწყევლილი გენია დასტიროდა ქართლის ბედს.

უკუნეთი...

ხსნა არსით სჩანდა. არ იყო გზა. იყო მხოლოდ ერთი გამოსავალი, მონობაში ორგია და თავდავიწყებაში გადავარდნა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ტრაგიკული სიკვდილი.

გრ. ორბელიანი სადღეგრძელოებში და ლოპიანას მუხამბაზებში იკლავდა პატრიოტულ ჟინს.

„დავლიეთ გაგიხარია...

„ვამაყობ საქართველოთი". (გ. ტაბიძე).

იყო უდაბნოება.

„ბარაბანითა და მუზიკით კვდება საქართველო!" ამბობდა მწუხარედ პატრი ნიკოლა.

„რა კარგი გამოგონებაა სასაფლაო!"—ამბობდა დამტვრეულ რუსულით ბარათაშვილი.

შემდეგ ერთი საუკუნის უდაბნო აქა-იქ ოდნავ ნაღვლიანად მბჟუტავ კელაპტრებით.

მივიწყებულ მონასტრის კედლებში ნაღვლიანი ცეკვა სამაიისა.

საუკუნეებით დაბინდული სახე ქართველ ქალებისა... ქართული სულის ინტერესი სამზარეულოს სიბრძნით დამთავრდა.

რუსთველიდან და ბესიკიდან კნ. ჯორჯაძემდის, „ვეფხის ტყაოსნის" უნაზეს აკვნესებიდან საქართველო ქერესელიძის „ცისკრის რედაქციამდის მივიდა, სადაც გულმოდგინეთ სწავლობდენ კომბოსტოს დამჟავებას და ბოზბაშის კეთებას.

შემდეგ ილლუზია ლიტერატურულ რევოლუციისა, თერგდალეულთა პოეზია.

კეთილშობილი გაქანება მოქალაქეობრივ მოტივებში და კასტრაცია პოეზიისა.

ბანკობია და აპელაცია.

კრილოვის იგავ-არაკებით თავის გართობა.

და ასე უდაბნოება და უდაბნოება...

შემდეგ შეიქმნა ახალი გაჭენებული ცხოვრება...

პროპელლერმა დააფრთხო ზეცის იდუმალობა.

სივრცე აცახცახდა რადიოს ტოკვით.

დრო გაფრინდა ელვის სისწრაფით.

მანქანების ქარიშხალმა გაანიავა წარსული.

და აი მოვიდა ვაჟი დათენთილი ამ სასტიკ ქარიშხლით, დათენთილი ქალაქის შემოდგომიან დღეებით. დაწეწილი სულით.

მოვიდა იგი „დალლილ ქალივით" და მას შორეულად ეალერსებოდნენ წარსულიდან თეთრ პარიკებით, მაღალ წინდებიანი და თეთრ ხელთათმანიან პაჟების გვერდით პირი მზის სამაია თავისი ოქროს ბალთიან ქოშით და ამდგარი ცამეტი სვეტი.

მოვიდა იგი ნაზი, მოქანცული და დაემხო შემოდგომის ფოთლებით დაფურცლულ, ანიავებულ ჟამთა ვითარების გამო გამოყვითლებულ, მივიწყებულ მარმარილოს თლილ კიბეებზე და აქვითინდა უცხო ხმაზე.

საგნებმა და მოვლენებმა უღალატეს ადამიანს, ისინი არ იძლეოდნენ ჩვეულებრივ სახეებს, ისინი არ ეგებებოდნენ ჩვეულებრივად მოსიყვარულე ქალივით შემოქმედს. და პოეტი დაიბნა, პოეტმა იგრძნო ღალატი სამყაროსა.

იგი ვერ იჭერს ჩვეულებრივ გამოსახვას საგანთა შინაგან არსისას და სასოწარკვეთილი იმწყვდევა თავის სულში. და ნაღვლიანი აქვითინდა პოეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ არავის ეგრძნო ასეთი ღალატი სამყაროისა და სმენა მიაპყრეს პოეტს.

ჯერ არავის გაეგონა ასეთი ქვითინი, ასეთი ნაზი ტიტინი აკვნესებულ სულისა.

ჰქვითინებდა იგი თეთრ ვერსალზე, საუკუნების ქარიშხლით დალეწილ ძველ მცხეთაზე და თეთრ სვეტიცხოველზე.

მოვიდა იგი და მას მტრულად განწყობილი ცხოვრება დახვდა ბროლის ვაზებისა და წერწეტ დედოფლის მაგიერ. მათ უკვე კარგა ხანია სცენა დასტოვეს. სცენა ცარიელია. იგი კი ისე შემოიჭრა კულისებიდან ნეტარ მოლოდინით აღსავსე, მაგრამ სიცარიელე და ათითხნილი, ბინძური დეკორაციები დაჰხვდა ლეგენდების მიგიერ.

მას მეტად დააგვიანდა გამოსვლა.

იგი დაგვიანებული გრძნობების მაყარია მივარდნილ აივნებისა, რომელზედაც კვილეჭია, ხავერდისფერ თვალებიანი, დამწველი თავდახურული ქალები რომ გადმოეფინებოდნენ ხოლმე ჭრელ ნოხებივით. მოვიდა იგი ნაზი, სათუთი და მოიტანა თავისი გამხდარი, გრძნობებით დათენთილი ნერვები.

მოვიდა და ჰკითხულობს უმანკო გულუბრყვილობით:

«შორეული ქალის ეშხი
«მოვა... მაგრამ როდის?
„სიყვარული სასახლეში
„მხოლოდ ერთხელ მოდის!..

იგი ჭიანურის კვესასავით ნაზია. ჰშიშობ, რომ გრძნობათა ამონთხევაში სული არ დალიოს წყნარად, ნაზად როგორც უიმედო სიყვარულით დაჭლე-ქებული ასული, გაეპარება ხოლმე ერთ მოქათქათე ღამეში სიცოცხლეს. მეცხრამეტე საუკუნის სულის დალევაში არიჟრაჟდა ანთებული მე-XX საუკუნე.

გ. ტაბიძე მოვიდა წარსულის პანაშვიდზე და გამოიტირა იგი.

და პანაშვიდი იგი მიაგავს ხანდახან ლიუციფერის შავბნელ მესსას, შავს მესსას ფარულ ღვთის გმობით: გალაკტიონი შევიდა ძველ პარკში და დაიძირა მის ნოტიო ბინდების მტევნებში. მთვარე ოდნავ ანათებს უნუგეშო მათხოვარ ქალის მკლავებივით დაძონძილ ხეებს.

ოქროს ფერია ყველგან თავადათ.

მივიწყებული, ნახევრად დანგრეული და ჩამშრალი აუზი. დაცარიელებულ და თალებ ჩამოქცეულ ძველ სრა-სასახლეებში დადის ლანდებთან ერთად ნაღვლიანი პაჟი ნელა. და აქ გ. ტაბიძე ჯადოქრობს ძველ კარაბადინით. ამოძრავდებიან მარიონეტები ცოცხლდებიან ნიღაბები:

„ღამეა. მთვარე. ხეივანი.
„—ოჰ, მეგობარო!
„მომჯადოებელ ვარდს ვეძახდი
„გუშინ რუსუდანს.
„—მაშ ახლა უნდა მოგილოცო.
„თუ გსურს მართალი
„მე მშვენიერი მირჩევნია
„ყველას თამარი!
„რაც შეეხება ლამაზ ნინოს...
„(დაბოლოება წარმოითქვის
„სავსებით წყნარად:
„ხელი მეგობრის დაეყრდნობა
„მოსაუბრის ხელს.)
„—დე იყოს ასე! მაგრას შერიფს!..
„ოჰ ეს შერიფის!
„(ლურჯდება ჰაერი
„ენთება ღამე)"

ასეთია საუბარი ძველ პარკში.

საოცარი მოუსვენრობაა გამეფებული მის წიგნში. ყველაფერი მოულოდნელია და თეთრი სიშინელება იპყრობს შენს სულს, საშინელება თენებისა, როდესაც ჰგრძნობ სიცრუეს, ჰგრძნობ შეჯგუფებულ კოშმარებს დღისას.

მისი წიგნი ცახცახებს ნერვიულად. მისი ნაღველი გიპყრობთ თქვენ და უმწეობას აგრძნობინებს.

უმწეობა და ირონია.

არ არის ხსნა. არ შეიძლება გამოხლართვა იმ წარსულის სახეებისა თანამედროვე ცხოვრების კანვაზე. ფორმა დაშორდა შინაარსს. საგანი არ ენდობა თანამედროვე თვალებს.

„ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი
„არ არის, არ არის, არ არის."

მაგრამ პოეტი იმედს მაინც არ ჰკარგავს. იგი იპოვნის სულს საგნისას, სულს გარემოისას. ხანდახან მისმა სულმაც იცის მოლოდინი და იმედი.

„როგორმე ქარმა თუ მიმატოვა,
„როგორმე ზამთარს თუ გადაურჩი!.."

ჰკივის იგი აწივილებული სულით, მაგრამ ლურჯა ცხენები მიჰქრიან „შეშლილი სახეების ხონჩხიანი ტყეები
„უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!

ასეთია გ. ტაბიძე.

მერის სახელი არ ასვენებდა მის სულს, სახელი, რომელიც ისე სასტიკად აკვნესებდა შელლისაც. სახელი, რომელიც ლეგენდად გადაიქცა. დადგა ბებერი როკაპივით ავი ზამთარი.

თოვლით დაიბინდა ყველაფერი.
ლამაზია ზამთარი, მაგრამ ნაღვლიანი.
ალვები დაყუწული არიან თოვლის ბრილიანტებით.

„ოჰ, ნეტავი არ შეირხევოდეს გადაზნექილი სიზმრების წელი!..."

ნატრობს პოეტი.

„ათოვდა ზამთრის ბაღებს.
„მიჰქონდათ შავი კუბო
„და შლიდა ბაირაღებს
„თმა გაწეწილი ქარი."
„გზა იყო უდაბური,
„უსახო, უპირქუბო,
„მიჰქონდათ კიდევ კუბო."
„ყორნების საუბარი:
„დარეკე!.. დაუბარე!.
„ათოვდა ზამთრის ბაღებს"

გალაქტიონი დათენთილია ტფილისით
მას უყვარს იგი

და მას ელანდება მისი მოჩვენებანი. მოსვენებას არ აძლევს მის სულს მადათოვი, მამადავითი, არსენალი. მას უყვარს ტფილისი და სულის კანკალით შესცქერის ყორნის მადათოვზე გადმოფრენას, სადაც მიყრუებული რესტორანი ანათებს ტივებიან ნაპირებს.

იგი მოვიდა დატვირთული ძველ სახეებით, ძველ, ძვირფას ნივთებით, მაგრამ თანამედროვეობას არ ესმის ამ ნივთების მნიშვნელობა. თანამედროვე სასძლოს არ უნდა იგი. და იგი დადის მარტო, დადის თავისთვის.

თამაშობს ამ ძვირფას ქვებთან...

ეალერსება მათ...

იტანჯება მათთან ერთად — და ცრემლით დატვირთულს ისვრის ზღვაში თავორეს მეზღვაურივით.

მეტად სასტიკია, ავი ქარიშხალი დაუნდობელი.

პოეტის სული კი მეტად ნაზია, რომ მას გაუძლოს.

იგი სასაფლაოზე აშოლტილ კიპაროსის წელივით იზნიქება ქარიშხალიან ღამეში და მისი ტოტები სტვენენ, ჰქვითინებენ ზამთრის სისასტიკეს.

და მწვავეა ეს ქვითინი მწვავე. პოეტმა არ იცის სად მიიტანოს იგი, ვის სულში დაასვენოს, რადგან მეტად უყვარს წამება და ეძნელება, რომ ანდოს იგი ვისმეს.

პოეტმა სულიდან ამოიგლიჯა მოფართქალე გული. ჯერ კიდევ მოცახცახე არტერიებით და სწურავს იგი თავისსავე გულს, სწურავს და შიში გიპრყობს, რომ იგი დაიცლება სისხლისაგან და დაეცემა პაჟი დედოფლის ფეხრთით უსულო.

და დედოფლის თვალთაგან რამდენიმე მდუღარე ცრემლი ჩამოვარდება და მარგალიტად გაყინული მკერდზე დაებნევა პაჟს.

გათავდება პიერო, სულს დალევს იგი და ნაზი კოლომბინა დაიტირებს მას.

გათავდება ყველაფერი, გათავდება...

ფარდა...

პარტერი დაიცლება.

და დარჩება ცარიელი სცენა და ცარიელი პარტერი, ნაღვლიანი, დასევდიანეაული ნაზ მოგონებათა და იდუმალ ფუსფუსით.

იქ მძიმე ვარდის ფოჩტებ ქვეშ პატარა ჯუჯა გამოძრება მშვილდისრით და პატარა რუხ თაგვს უდარაჯებს მოსაკლავად.

ნიღაბები კედელზე ჰკიდია და ელიან ხელახლად მგოსანს.

ნიღაბები ელიან პოეტს განუსაზღვრელი სურვილით ამეტყველებას მოსურვებულნი.

საათი კი კაკუნობს, კაკუნობს.

ნიღაბები ხელახლა გაცოცხლდებიინ და იტყვიან ახალ სიტყვას, იტყვიან...

(ჟურნალი „ილიონი“ № 2) ნიღაბები ელიან მგოსანს...

**დემნა შენგელაია.**

## ხელოვნება და წამება.

წამება ჰქმნის სილამაზეს. ცხოვრება წამებაა. ადამიანი წამებით იბადება და წამებით კვდება. წამებაა ცხოვრების შინაარსი. წამებამ წარმოშობა ხელოვნება. ეს უდიდესი სულის-სწრაფვა კაცობრიობის.

სოფოკლემ ადამიანის უდიდესი წამება გამოჰხატა თავის „ჰოიდიპოს მეფე“-ში. მსოფლიო ლიტერატურაში ამაზე დიდი წამება არავის მოუთხრობია. საშინელი გულშემზარავი აკკორდებით აახმაურა საბერძნეთის მწერალმა თავისი დიდებული ტრაგედია. და ვინ იტყვის რომ ეს დიდებული გოდება მახინჯი სულის გამოხატვა იყოს.

სოფოკლემ გარდასხნა ფარდა იდუმალების და დაგვანახვა სილამაზე ჭეშმარიტების.

ადამიანის აზრი წამებით იშვება. ადამიანის ინტელექტი უდიდეს სანქციას წამებით მიახწევს. ეს ემპირიულ ფილოსოფოსს აუცილებელ აქსიომად მიაჩნია.

რაც უფრო განვითარებულია ადამიანის გონება, მით უფრო წამებულია მისი აზრი. გონება დამძიმებული ღრმა მეცნიერებით — დამძიმებულია ტანჯვით. ხელოვნება და წამება — ეს ერთი და იგივე ცეცხლის რგოლია.

მაგრამ რა არის თვით ხელოვნება — როგორც ასეთი? ხელოვნება — ეს ფილოსოფიაა. ეს ბევრს პარადოქსათ ეჩვენება. მაგრამ ეს ჭეშმარიტებაა. მხოლოდ ნუ გაურევთ მქლე და გამოფიტულ ფილოსოფიას. მართალი იყო შოპენჰაუერი, როდესაც იტყოდა: „ფილოსოფია — ეს აზროვნების მხატვრული ნაწარმოებია. ფილოსოფიას ასე დიდხანს იმიტომ ეძებდნენ, რომ მას ეძებდნენ მეცნიერების საფუძველზე, მაშინ როდესაც ფილოსოფია უნდა ეძებნათ ხელოვნების გზაზე“.

ნამდვილი ხელოვნება — მოძღვრებაა, რომელიც განცალკევებული ფილოსოფიაზე არის აშენებული. ხელოვნება — ეს კერპთთაყვანისცემაა. ეს უკანასკნელი კი წარმოიშვა დიდი ბუნების იდუმალებით: უპირველესად წარმართმა ქვეყანამ — წარმოშვა ხელოვნება. პირველი ღმერთები — ხელოვნების წინასწარი განჭვრეტა იყო და წინასწარი — ალტაცებით დაუდოს საფუძველი ხელოვნებას პირველ ყოფილმა ხალხმა, აქედან იწყება სიყვარული და ღვთის მსახურება და აქედანვე დაიწყო მსხვერპლთ შეწირვაც. ხნლოვნება კი მხოლოდ მსხვერპლთ შეწირვაა, და ვინც მსხვერპლათ არ შეეწირება, თავის სულს არ ჩასწვამს ხელოვნების ღვთიურ ცეცხლში, ახლოს ვერვინ მიეკარება და ვერ ეზიარება მსოფლიო იდუმალებას. ჯერ მთელი რიტუალი უნდა გაიარო, განიცადოს დიდი ქარ-ცეცხლი და მერე ისე დაუახლოვდე უდიდეს კატარზისს, სულიერ განწმენდას და განფაქიზებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ერუდიციის გზით უნდა წავიდეს ყოველი ხელოვანი.

ტანჯვით უნდა იხილო სილამაზე.

ყოველივე უნდა დაჰგმო.

ინდივიდი უნდა ჩაიკლას, მიტომ რომ უფრო გაალმერთო ინდივიდი. „მე“ უნდა დაიმარხოს მაგრამ იგი ისევ უნდა აღსდგეს „სასწაულებრივ“.

ხელოვანი თავის თავს არც უნდა ეკუთვნოდეს.

ნამდვილი ხელოვანი — მოგვია და ის ადამიანთა ჩვეულებრივ ცხოვრებიდან უნდა განდგეს და ჩამოშორდეს.

სხვისთვის უხილავი მისთვის ხილული უნდა იყოს და კაცთაშორის მაშინ იქნება ხელოვანი რჩეულთაგანი.

ბედნიერება? სისულელეა! — ეს ხომ ზღაპარია ბალღებს რომ ეუბნებიან და ფანტასტიურ ელფერით ულებავენ ყველაფერს.

სიტკბოება? — დედის ძუძუდან — წამონადენი რძეა მხოლოდ ტკბილი!

სიმწარე! აი უდიდესი სიტკბოება.

სიმდიდრე! ეს კიდევ ბოროტ-მოქმედებაა!

ბოლოს და ბოლოს ისევ ტანჯვაა ცხოვრების მიზანი.

ხელოვნებაც და მისი მსახურნიც წამებით იკაფავენ გზას ეკლით მოსილს და ქვა-ღორღით მფენი!

ბედნიერება ადამიანს ტალახში სვრის — წამებს კი ამაღლებს, ადიდებს სულიერად და აფაქიზებს.

ამის მშვენიერ მაგალითს გვიშლის იტალიელი პოეტი დანუციო ,,ჯიოკონდა‘‘-ში.

ბედნიერი იყო მოქანდაკე ლუჩიო სეტალლა. მაგრამ მისი ბედნიერება მალე დაირღვა. ხელოვანმა გაიმარჯვა ადამიანზე. გამარჯვება კი ძვირად უჯდება მას. ადამიანმა თვისი ტანჯვა ხელოვანს გამოატანა. მარტო არც ტანჯვა ყოფილა საკმარისი ხელოვანის შემოქმედებისთვის. საჭირო ყოფილა კიდევ სხვა მსხვერპლი რომელიც არის სიმბოლო-სიმშვენიერის. და სილვია სეტალლამ ამის ნიშნად ხელოვნების საკურთხეველის წინაშე მსხვერპლად თავისი ლამაზი ხელები.

ლუჩთას ქმნილებამ მოფშვნიტა ეს ხელები.

მხატვარის შემოქმედება გადარჩა, არ დაიღუპა — მაგრამ რა ფასით?!.

მაშინ გასძლა ლუჩიას პიროვნება და ხელოვანმა დაჰგმო ჩვეულებრივი ხაზები. ახალ გზას დაადგა უარჰყო ოჯახი, შვილი და ყოველივე მშვენიერების შესწირა.

აქ აღიმართა ტრაგედია ხელოვანის.

და აქვე მოხდა ხელოვანის გამართლება იმ ნიშნის ქვეშ რომ ხელოვანს მარტო ერთი რამ უნდა სწამდეს; სილამაზე ან ჰარმონიული უკვდავება.

მაგრამ უფრო მეტი სიმკაცრით ახადა ფარდა ამ საკითხს მეორე დიდმა ინგლისის პოეტმა ოსკარ უაილდმა თავის „დორიან გრეის პორტრეტში‘‘.

ვინ იყო ოსკარ უაილდი?

ეს იყო სილამაზის მოციქული.

ადამიანი — რომელსაც სილამაზის მეტი არა სწამდა-რა.

პოეტი რომელმაც გარეგნული ფორმა აალმერთა და უკიდურეს კულტამდის აიყვანა.

ხელოვანი რომელმაც დაჰგმო ყოველივე სიკეთე და სათნოება და მხოლოდ ერთი სილამაზე და სიმშვენიერე იწამა. დასწვა ყველაფერი თვის გაწმენდილ ფრჩხილებით.

თავით ფეხამდე ამაყ არისტოკრატმა და ესტეტიკის ტორკვემადომ შეირიგა ყოველივე უშნო და მახინჯი — მხოლოდ იმიტომ რომ სილამაზისთვის დიდების გუნდრუკი ეკმია.

ესტეტიკოსის პიროვნება დიდხანს იდგა ამ პლატფორმაზე. მაგრამ უაილდი ცალმხრივი და ერთფეროვანი მწერალი არ გამოდგა. პოეტის აზროვნება მალე გადატყდა. დიდებული მწერალი ბრმა ფანატიკოსად არ გარდაიქცა და მის დიად სულში დიადმა ქარიშხალმა დაისადგურა და მალე რედინგის ციხიდან პოეტმა ამცნო მთელ ქვეყნიერებას რომ გარეგნული სილამაზის გარდა არსებობს უფრო დიადი მშვენიერება — რომელსაც ეწოდება ტანჯვა სულიერი და თვის ,,დორიან გრეის სურათში‘‘ გადუშალა ხელთვანთს ტანჯვა-ფილოსოფიური.

,,დორიანგრეის სურათში‘‘ პოეტმა სასტიკი კალმით მოგვითხრო ხელოვანის და ცხოვრების ურთიერთობა და შეჰქმნა ტანჯვის მთელი ფილოსოფია.

დოროიან გრეი — ეს ყრმა ადონაისი, რომლის ყოველი ნაკვთი თითქო სპილოს ძვლიდან იყოს ჩამოსხმული — მშვენიერების განსახიერებაა.

მას შეიყვარებს მხატვარი ბეზილი, შეიყვარებს მის ლამაზ სახეს, რათა დორიან გრეის სილამაზე გარდიქცეს მხატვარის მასალად როგორც რამ კარგი მოდელი. დორიან გრეის სილამაზე ბეზილისთვის — იდეალია.

აქედან დაიწყო ხელოვანთს ტანჯვა.

მხატვარი გაიმარჯვებს შეჰქმნის დიდებულ სურათს — დორიანის სახეთ და ხელოვნება გამოამჟღავნებს ცხოვრების იდუმალებას.

როდესაც მხატვარი ჰქმნიდა დიდებულ სურათს, დორიანი თითქო სიშურით უყურებდა ბეზილის ხელოვნებას და მწარედ ფიქრობდა:

,,სურათი უნდა დარჩეს სამუდამოთ — მე კი უნდა

მოვკვდე, დავბერდე სურათი მუდამ მშვენიერი იქნება, მუდამ ახალგაზდა მე კი დავჭკნები" და აქედან უაილდმა დასვა შავი წერტილები, რომელიც შემდეგში უცნაური სახით გარდიშალნენ და მისსამოსელით გვიამბეს ადამიანის მარადიულ ტანჯვაზე. წამების ჯვარზე გააკრა უაილდმა—ესტეტიკოსმა ბეზილიც და დორიანიც. თვით პოეტმაც განიცადა ეს ხაზები, ეზიარა წმინდა წამებას და ფილოსოფიური თვალსაზრისით კონტროლი გაუკეთა ადამიანის სულის ყოველ გვარს ბგერას და სუნთქვას. და აქვე აღიარა უაილდმა: ხელოვნების უკვდავება და ცხოვრების წამიერება—არარაობა.

უაილდმა თავის ხელოვნება გადააქცია თავის წამებად და ტანჯვით მიაღწია იმას, რასაც წინად გედონიზმის გზით უნდოდა მიხწევა.

მხატვარმა—ესტეტიკოსმა დილემა დააყენა წინ: ან წამება და უკვდავება, ან ბედნიერება და თავის თავის მოსპობა და ხელოვანმა ისევ ტანჯვა ირჩია. /ტანჯვით უნდა მოხდეს ხელოვანის შემოქმედების განდიდება./ ხელოვანი არ არი ჩვეულებრივი ადამიანი და რაც ჩვეულებრივ ადამიანს სჩვევია ის ხელოვანისთვის მიუღებელია.

ხელოვანმა უნდა უარჰყოს თვისი პირადი ცხოვრება სრულიად, რომ იგი დაუახლოვდეს ჭეშმარიტ ხელოვნებას. ხელოვანი სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს. ხელოვანი რამდენადაც დაშორებული იქნება ცხოვრებასთან, იმით უფრო ახლო იქნება ხელოვნებასთან.

და ამის მშვენიერი დასაბუთება ისევ ოსკარ უაილდმა იკისრა თავის „დორიან გრეის სურათში". სიბილდა ვერ არის ნიჭიერი მსახიობი. დორიან გრეი მოიხიბლება მისი ხელოვნებით და შეუყვარდება მსახიობ-ქალი.

სიბილდა ვენ ბედნიერია. მაგრამ მისი ნიჭი, ხელოვანის შემოქმედება ჩაზნიქება სიყვარულის ქარცეცხლში. ცხოვრების სინამდვილემ ფრთები შეახო სიბილდას და ძირს დასცა მისი ხელოვნება და როდესაც ერთხელ დორიანმი ლორდი გენრი და ბეზილი წაიყვანა თეატრში საბილდა ვენის სანახავად, დორიანის აღტაცებას დამბლა დაეცა. სიბილდას მშვენიერი ხელოვნების მაგივრად დორიანმა იხილა ტლანქი სინამდვილე, გაცრეცილი, გაშიშვლებული ადამიანის სული.

დორიანისთვის ეს საკვირველება იყო, მაგრამ სიბილდამ ამ საკვირვილებას კი ფარდა აჰხადა. „დორიან, დორიან! ვიდრე გაგიცნობდით თქვენ— ჩემი ხელოვნება ყველაფერი იყო ჩემთვის. მე მხოლოდ თეატრში ვცხოვრობდი. მე ეს ყველაფერი მართალი მეგონა.

თეატრის ბედნიერება—ჩემი ბედნიერება იყო, კორდელიას ტანჯვა, შეთხუპნული დეკორაციები — ჩემთვის მთელი ქვეყნიერება იყო. მე სხვას ვერაფერს ვხედავდი აჩრდილების მეტს, მაგრამ ყველა სინამდვილეთ მეჩვენებოდა".

სიბილლა ვენმა ამით აღსარება სთქვა: თუ წინად ჩემთვის ხელოვნება ყველაფერი იყო, დღეის იქით მის ადგილს ნამდვილი სინამდვილე იჭერს, ნამდვილი ბედნიერება, ხორცშესხმული ცხოვრების სიტკბოება და ეს შენი სახით მომეხდინოს და აქედან უაილდმა მწარედ დასცინა ხალოვანს როგორც ადამიანს და სთქვა: /ხელოვანს არა აქვს უფლება—პირადი ბედნიერებისო!

(ხელოვანის სინამდვილე—უსათაოდ ხელოვნებაა.) სიბილდა ვენმა რაწამს იხილა სინამდვილე იმ სახით, რა სახითაც არის, იგი როგორც ადამიანი გახდა ბედნიერი, მაგრამ როგორც ხელოვანი გაუბედურდა.

ან ხელოვნება,—ან ცხოვრება.

ორში ერთი: თუ ხელოვნებას ემსახურები ყველაფერი ხელოვნებას უნდა ასხურო; სიყვარულიც, ოჯახიც, მეგობრობაც და ყველა ის რაც უბრალო მომაკვდავ ადამიანს თავის საუნჯედ მიაჩნია. არ გაიღებ ამ მსხვერპლს, ვერც შეხვალ ხელოვნების ტაძარში და ვერ იმსახურებ, დიდ საქმეს დიდი მსხვერპლი სჭირია.

ცხოვრების კანონის მუხრუჭს ვერ გაუძლო სიბილლა ვენმა. ცხოვრებამ სძლია ხელოვანს.

აი აქ არის ხელოვანის უდიდესი ტანჯვა როგორც ადამიანის.

ნუ თუ ხელოვანს როგორც ადამიანს არ უნდა ჰქონდეს უფლება პირადი ბედნიერების ისე როგორც ყოველ ჩვეულებრივ ადამიანს. მაგრამ საქმეც ამაშია რომ ხელოვანის ცხოვრება ვერ მოეწყობა ჩვეულებრივ ადამიანის მასშტაბით. ხელოვანი არავის ეკუთვნის გარდა თავის ნიჭისა და ამ ნიჭს უნდა შესწიროს მან ყველაფერი.

ნამდვილი ხელოვანი სწირავს კიდეც ყოველივეს და სთმობს ყველა იმას რასაც ჩვეულებრივი ადამიანი ბედნიერებას ეძახის.

ღვთიურ ცეცხლში ხელოვანი სწვავს და ფერფლავს თავის სულს.

კოსმიური ელვით და ქარტეხილით ესწრაფვის მარადიულ სამყაროსკენ და მთლად დატვირთული თავის მიზნით და მოვალეობით მარტო ახსოვს თავისი ხელოვნება და წამება—ფილოსოფიურ თვალსაზრისით გამართლებული.

ვახტანგ გარრიკი.

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1922—1923 წლის.

სახელმწიფო აკადემიური დრამა

კვირას, დეკემბრის 10

ი. გედევანიშვილის.

**სინათლე**

პირველი ნაწილი

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

ანონსი: შაბათს, დეკემბრის 16 **ნინო ჩხეიძის** მონაწილეობით „ორი ჯიბგირი" თეატ. ადმინისტრაცია. ანონსი:





„სოლეილდორ"

საუკეთესო ტფილისში

ყვავილების მაღაზია

ერევნის მოედანზე

ეროვნული

ქალაქ თბილისში და მის მიდამოებში მყოფ ავტომობილების რეგისტრაციის შესახებ, ქალაქ თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის

# სავალდებულო დადგენილება.

8 ნოემბერი 1922 წ.

1. ქალაქ თბილისში და მის მიდამოებში მყოფ ავტომობილის რაოდენობის გამორკვევის მიზნით, მოხდეს აღრიცხვა ყველა, როგორც მჩატე მავალის, აგრეთვე ტვირთ მზიდავ ავტომობილებისა.

2. ევალება ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათ, აგრეთვე სამხედრო უწყებას, კავკასიის ცალკე არმიის ნაწილების გამოუკლებრივ და კერძო პირთ, გამოგზავნონ თავიანთი ავტომობილები აღმასრულებელ კომიტეტის ეზოში (თავისუფლების მოედანი) დანიშნულ დღეს და საათზე აღსარიცხავათ და სარეგისტრაციო მოწმობისა და ნომრის მისაღებად.

3. აღრიცხვას აწარმოებს კომისია, რომელიც აღრიცხვის დროს აღნიშნავს მატორის ძალას, ნომერს და მანქანის ფირმას.

4. ავტომობილის მეპატრონე ვალდებულია მიღებული ნომერი მიაკრას ავტომობილს როგორც უკან ისე წინ თვალსაჩინო ადგილას. სარეგისტრაციო და პირადობის მოწმობანი—კი თან უნდა ჰქონდეს შოფერს, რომელიც ვალდებულია ესენი წარუდგინოს აღმასრულებელ კომიტეტის აგენტს უკანასკნელის პირველ მოთხოვნილებისთანავე.

**შენიშვნა:** 1) დაბინდების შემდეგ მანქანის ნომერი განათებული უნდა იქნას უკანა ფარანით.

**შენიშვნა:** 2) რეგისტრაციის რიგს, სამხედრო მაშინებისას და ოკას ნაწილებისა ადგენს ქალაქის კომენდანტი აღმასკომის წარმომადგენელთან ერთად.

5. ავტომობილები, რომელიც არ იქნებიან აღრიცხული ამისთვის დანიშნულ ვადაში და არ ექნებათ ნომერი და საარიცხვო მოწმობა, ჩამოერთმევათ მეპატრონეთ მანამ მეპატრონეს არ გადახდება განსაზღვრული ჯარიმა.

6. თუ ავტომობილის მეპატრონეს დაეკარგა ნომერი და საარიცხვო მოწმობა, ვალდებულია ეს გარემოება აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც მას აძლევს ახალ ნომერს და საარიცხვო მოწმობის დუბლიკატს სათანადო ღირებულების გადახდის შემდეგ.

**შენიშვნა:** 1) ნომერისა და საარიცხვო ბარათის დაკარგვა უნდა გამოცხადდეს ოფიციალურ გაზეთში.

**შენიშვნა:** 2) ავტომობილების მეპატრონენი იხდიან თითეულ ცალ ნომერზ 70/ათ. მან. და მოწმობისათვის 10/ათ. მან.

7. ტფილისის ქალაქის მილიცია და აღმასკომის სხვა შესაფერი აგენტები ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაუტარებელი ავტომობილების მოძრაობა ქალაქში არ დაუშვან და ასეთები თუ აღმოჩნდება დააკავონ და გადმოგზავნონ აღმასკომის სამმართველოს განყოფილებაში.

8. თუ ავტომობილი გადავიდა ერთი პირიდან მეორე პირის მფლობელობაში, როგორც პირველი ისე მეორე მხარე, სახელმწიფო დაწესებულებათა გამოუკლებლივ, ვალდებულნი არიან შეატყობინონ ეს გარემოება წერილობით აღმასრულებელ კომიტეტს, შესაფერ წიგნებში გასატარებლად.

9. ავტომობილის აღრიცხვა დაიწყება ა/წ ,, 11 '' დეკემბრიდგან დილის 9-საათზე.

| | | |
|---|---|---|
| 1, 2, 3 სამილიციო რაიონები. | 11, 12, და 13 ,, | დეკემბერს. |
| 4, 5, 6, და 7 ,, ,, | 14, 15, 16 | ,, |
| 8, 9, 10, 11 და 12 ,, | 18, 19, 20 და 21 | ,, |

10. დამნაშავენი ამ სამალდებულო დადგენილების შეუსრულობაში დაჯარიმებულ იქნებიან 5.000.000 მან. და ჯარიმის გადახდამდე-კი ჩამოერთმევათ ავტომობილი, რომელიც გადავა აღმასრულებელი კომიტეტის სარგებლობაში.

ქალაქ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ლ. დუმბაძე

ქალაქ თბილისის და მისი მიდამოების კომენდატი აბაშიძე

სამმართველოს განყობილების უფროსი

პერზიდიუმის წევრი თაქთაქიშვილი.

# საქართველოს თამბაქოს ტრესტი

## ს. ს. ს. რ.

## ჰყიდის თავის ნაწარმოებს

### პრეის-კურანტი № 8. 10 ოქტომბერის 1922 წ.

| პაპიროსების სახელწოდება. | პაპიროსების ფასი დაწყებული: 10-30 ათასი | 50-100 ათ. | 150-300 ათ. | სპეციალური ფასები თუ 3 მილიარდის საქონელია წაღებული. |
|---|---|---|---|---|
| I. ინგლისური | 1.000 | | | |
| III. სოვეტსკი | 840 | 820 | 800 | 780 |
| სოლიდნი | 670 | 650 | 640 | 630 |
| სოვეტსკი II ბოზ. | 550 | 540 | 530 | 520 |
| **კ ო ლ ო ფ ე ბ შ ი** | | | | |
| II. ეგვიპეტსკი, ირის, პრიმა, ფურორ, იდეალ, ხან-კეფი, ყველა ფაბრიკების სოვეტსკი | 520 | 510 | 500 | 430 |
| III. საფო, № 105, იაკა | 440 | 420 | 410 | 400 |
| **პ ა ჩ კ ე ბ ი თ** | | | | |
| IV. ბუკეტი, გალეია | 440 | 420 | 410 | 400 |
| V. დელიკატეს, ეგიპეტსკი | 460 | 440 | 430 | 420 |
| VI. № 8 საფაროვისა, სუდენნი, სიმპატია, კორდო ვერ „ლევ" | 420 | 400 | 390 | 380 |
| VII. ექსტრა, დიუშეს, როსკოშ, მარსი სეილანოვისა | 390 | 370 | 360 | 350 |
| VIII მარსი საფაროვისა, ზნამია, № 5, ზარია, გოლუბკა, როზა | 370 | 350 | 340 | 330 |

**თამბაქოები იყიდება არა ნაკლებ 400 გირვანქისა:**

თამბაქოები: უმაღლესი ხარისხის კოლოფებში „კომეტა" . . . . . . . . . . . . 260
" " ლ. საფაროვისა . . . . . . . . . 160
" " „სლონ" . . . . . . . . . 120
ოტბორნი „მირ" . . . . . . . . . 120
№ 52 საფაროვისა, კეფ და კრიმსკი-„კომეტა" . . . . . . . . 120
№ სეილანოვისა და ბოზარჯიანცისა „სამსონი" მაგარი . . . . . . . . 90
№ 120 ენფიანჯიანცისა, № 108 საფაროვისა და ყველა ხარისხისა . . . 75

თამბაქო იყიდება არა ნაკლებ 400 ფუთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამიერ-კავკასიის ს. საბჭოთ

# საფინანსო კომისარიატის რწმუნებული

## ამონაწერი უცხოელი ვალიუტისა და სავალიუტო ღირებულებათა საზღვარ-გარეთ გაზიდვისათვის მისაცემ ნებართვების წესრიგის ინსტრუქციიდან, თანახმად საკავშირო საბჭოს დადგენილებისა № 50.

1. თანახმად ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. ფედაციის საკავშირო საბჭოს დადგენილებისა 1922 წლის 21 ნოემბრიდან № 50 აკრძალულია საკავშირო საბჭოს მიერ განსაკუთრებულად ნებადაურთველი გაზიდვა ნაზღვარგარედ ვალიუტისა და სავალიუტო ღირებულებათა დადგენილ ნორმაზე ზევით, რომელიც ნაჩვენებია 1 სტ. მეორე შენიშვნაში და აღნიშნულ დადგენილების ცალკე დებულებაში.

2. ვალიუტის გასაზიდ ნებართვების მთხოვნელები უდგენენ საკავშირო ფინანსკომის რწმუნებულს სათანადო რესპუბლიკისა მათ მიერ ხელმოწერილ განცხადებას, სათანადოდ შევსებულ საანკეტო ფურცლებთან ერთად.

3. ნებართვის ასაღებად აუცილებელი პირობაა, კერძო დაწესებულებებთა (კოოპერატივები, შერეული საზოგადოებანი და სხვა) ფირმათა და პირთათვის, რომ მათ გაზიდულ ღირებულებათა სამაგიეროდ შემოიტანონ სათანადო ღირებულების საქონელი მეორე სტატიაში ნაჩვენებ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი.

**შენიშვნა**: ამიერ-კავკასიის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში მომქმედ მუშათა კოოპერატივების მთავარ ორგანიზაციებისათვის დასაშვებია ნებართვის მიცემა უცხოელი ვალიუტის საზოგადოთ საზღვარ გარედ გატანისა, თუ ისინი ბანკების საგარანტიო წერილის მაგიერ წარმოადგენენ დაწესებულების ვალდებულებას, მეთაურთა მიერ ხელმოწერილს მასში რომ უკანასკნელი კისრულობს ნებართვის აღების დღიდან ოთხი თვის განმავლობაში შემოიტანოს უცხოეთიდან ამიერ-კავკასიის ფედერაციის საზღვრებში საქონელი, მათ განცხადებაში ნაჩვენები.

4. ვალდებულების შესრულება უნდა უზრუნველყოფილ იქნას ერთ-ერთ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულების ან მისი განყოფილების დეპოზიტში, ნებადართულ გასაზიდ ვალიუტის ღირებულების 20 პროც. წინდაწინ შეტანით (მეოთხე სტატია).

5. საშუალებანი და რაობა უზრუნველყოფათა თვითეულ შემთხვევებში უნდა (განისაზღვროს) გამოიკვლიოს აღნიშნულ ბანკის ადმინისტრაციამ, განმცხადებელთან ერთად, რომელიც მოვალეა წარმოუდგინოს ფინანსკომის წარმომადგენელს ბანკის საგარანტიო წერილი იმაში, რომ უკანასკნელი ფინანსკომის წინაშე კისრულობს პასუხისგებას ვალიუტის მომტანის მაგიერ გასაზიდ ვალიუტის 20 პროც. ფარგლებში, თუ განმცხადებელი არ შეასრულებს თავის დროზე თავის პირობებს, უცხოეთიდან ვალიუტის სათანადო ღირებულების საქონლის შემოზიდვის შესახებ, როგორც ეს მის განცხადებაშია ნაჩვენები.

6. განმცხადებლისათვის გარანტიის მიცემაში ბანკს უფლება აქვს გადაახდევინოს მას უზრუნველყოფის საერთო ჯამიდან გასაზიდ ვალიუტინიდან (20%) ორ პროცენტამდის თვეში, გარდა ნამდვილი ხარჯებისა შენახვის, დაზღვევისა და სხვა საერთო პირობათა სასაქონლო—სასესხო ოპერაციების მიხედვით.

7. სავალიუტო ღირებულებათა გასაზიდ ნებართვის აღებაში განმცხადებლები იხდიან ნებართვის დამზადება—გაცემაში გაწეულ ფინანსკომის ხარჯების დასაფარავად 1% გასაზიდად ნებადართულ ღირებულებისას; სამთავრობო და სახელმწიფო დაწესებულებანი არ არიან თავისუფალნი აღნიშნული 1% გადასახდისაგან.

8. მოწაფეებს, რომელნიც მიემგზავრებიან საზღვარ-გარედ და სურთ გაიტანონ უცხოელი ვალიუტა ნორმაზე მეტი, თანახმად 1 § მეორე შენიშვნისა, განათლების კომისარიატის მოწმობის წარდგენით, რომ ისინი წარივლინებიან საზღვარ-გარედ განათლების განსაგრძობათ, მოწაფის ანგარიშში მიეცემათ ნება საზღვარ გარეთ წასვლის დროს გაიტანონ უცხოელი ვალიუტა არა უმეტეს 75 მანეთი ოქროთი. შემდეგ კი მოწაფეს შეიძლება მიეცეს ნება, რომ მან პერიოდულათ მიიღოს ვალიუტა ყოველთვიური საცხოვრებელი მინიმუმის ანგარიშით 75 მანეთი ოქროთი.

9. ავადმყოფები, რომელნიც მიემგზავრებიან უცხოეთში და სურთ გაიტანონ ვალიუტა დადგენილ ნორმაზე მეტი, თანახმად 1-ლი §-ს მეორე შენიშვნისა, არდგენენ მოწმობას ჯანსალკომისრისგან, ხსენებულ პირთა საზღვარ გარეთ ექიმობის აუცილებლობის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევებში ნებადაურთველ უცხოელ ვალიუტისა — საზღვრავს თვითეულ შემთხვევაში ამიერ-კავკასიის ფინანსკომი.

10. განცხადებები ვალიუტის გასატან ნებართვების მისაღებად ყველა სათანადო ნართებით უნდა შემოტანილი იქნას ორ ეგზემპლიარად.

გარდა ამისა, აუცილებელაა წარმოდგენილ იქნას სათანადო დოკუმენტები სასარეწაო მოწმობის რეგისტრაციისა ან აღების შესახებ.

11. ღირებულებათა გასაზიდათ მიცემული ნებართვები ძალაშია ორი თვის განმავლობაში. უკანასკნელ ვადათ უცხოეთიდან საქონლის შემოტანის ვალდებულებისა ინიშნება 4 თვე, ნებართვის გაცემის დღიდან დაწყებული.

12. როდესაც ფინანსკომის რწმუნებულს დანიშნულ ვადაზე წარუდგენენ საბუთებს მასში, რომ თანახმათ დადებულ პირობისა, უცხოეთიდან შემოტანილია სათანადო საეკვივალენტო საქონელი და ამაში წარმოდგენილი იქნება დოკუმენტები, როგორც: საბაჟოს მოწმობა, კონსამენტი, ფაქტურა, დაზღვევის მოწმობა და სხვა, ფინანსკომის რწმუნებული რთავს ნებას, რომ მასთან შენახული ბანკის საგარანტიო წერილი წარწერით: დეპოზიტად შეტანილი ფულები, დაუბრკოლებლივ დაუბრუნდეს მის კანონიერ პატრონს.

13. თუ მიცემულ ნებართვაში დადებულ უკანასკნელ ვადის გათავებისას არ იქნება წარმოდგენილი დასაბუთებული რწმუნება უცხოეთიდან დაპირებული საქონლის მოტანაში, ფინანსკომის რწმუნებული მოითხოვს და აიღებს ბანკიდან, თანახმად ბანკის საგარანტიო წერილისა, 20 პროც. გატანილ ვალიუტის ღირებულებისა ნატურით ან ადგილობრივი ფულის ნიშნებით დღით კურსით.

14. იმ შემთხვევაში, თუ კანონიერ ვადის განმავლობაში მიმღები დააბრუნებს ვალიუტის გასაზიდ გამოუყენებელ ნებართვას თხოვნით, რომ მას დაუბრუნონ საწინდარი (20 პრ.) თხოვნა შეიძლება შესრულებულ იქნას, მხოლოდ მას გამოერიცხება 1% გასაზიდათ ნებადართულ ვალიუტის ღირებულებიდან საწინდარის მიღების დღის კურსით.

15. ვალიუტის გასაზიდი ნებართვები არის სახელობითი დოკუმენტები და გამოიწერებიან ვალიუტის გამტანის სახელზე მისი განცხადების ან იმ დაწესებულების ჩვენებით, რომელიც თხოულობს ნებართვას თავის პასუხის მგებლობით, და ამ ნებართვების სხვა პირზე ან დაწესებულებაზე გადაცემა აკრძალულია.

16. დასაშვებია გადაცვლა მოცემული ნებართვისა ახალ ნებართვაზე (ვალიუტის შეცვლა ან პირის გამოცვლა, — რომელმაც უნდა გაიტანოს ვალიუტა და სხვა). გადაცვლა ხდება იმავე წესრიგით, როგორც პირველი ნებართვის აღება ფინანსკომის რწმუნებულთან, მხოლოდ ნებართვის გადაცვლისთვის დაინტერესებულთ გადახდებათ გასაზიდი ვალიუტის ღირებულების ½% გადაცვლის დღის კურსით.

17. თანახმად საკავშირო საბჭოს დადგენილების მე-5 სტატ. ნებართვა ვალიუტის გასატანად ეძლევა მთხოვნელთ იმ გვარადვე, როგორც ეკვივალენტი უცხოეთიდან დამოუკიდებლად შემოტანილ საქონელში. აუცილებელი პირობაა მხოლოდ, რომ მოტანილი საქონლის ნომენკლატურა აღნიშნული იყოს მე-2 სტატიით აღნიშნულ სიაში.

18. ვალიუტის გასატანი ნებართვების მიღება ხდება ზემოაღნიშნული წესით — ფინანსკომის რწმუნებულის საშუალებით. საბუთად, რომ საქონელი უცხოელი ნაწარმოებია — უნდა წარმოდგენილი იქნას კონოსამენტები, რკინის გზის დუბლიკატები, დასაზღვევი მოწმობები, საბაჟოს მოწმობები, ფაქტურები და სხვა, რომელნიც უქმდებიან მხოლოდ ფინანსკომის რწმუნებულის ბეჭდით.

19. ვალიუტის გასატანი ნებართვების მიღებისათვის ამ შემთხვევაშიაც დაინტერესებულნი იხდიან ღირებულებიდან 1 პროც.

20. იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი საქონლის შემოტანიდან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიაზე გავიდა ორ თვეზე მეტი — ნებართვა სათანადო ვალიუტის გასატანად არავის მიეცემა.

საქმეთა მმართველი **გ. ელისაბედაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება

## ს. ს. ს. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა

ფინანსთა სახალხო კომისარი ამით აცხადებს, რომ 20 ოქტომბერს თანახმად № 75 დეკრეტის 13 და 17 მუხ. მისს მიერ დამტკიცებულია ახალი ნიხრი აქციზების გადიდებისა, სხვათა შორის, შაქარზე (რაფინადი და ფხვნილი სახარინზე, ჩაიზე (საზღვარ გარეთული და ადგილობრივი), ყოველგვარ ღვინოზე, სპირტზე, და მისს ნაწარმოებზე, კონიაკის სპირტზე და კონიაკზე ამის გამო წინადადება ეძლევა ყველა საწყობების და სავაჭროების გამგეებს, სადაც მზადდება ინახება და იყიდება ეს საგნები (საწყობები და სავაჭროები სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების, რკ. გზის სადგურების, ნავთ სადგურები, სატრანსპორტო კანტორების, ბანკების, კოოპერატიულ საზოგადოებების და კერძო პირების) გარდა იმ ღვინის, კონიაკის, და სპირტის ქარხნებისა და საწყობებისა და სავაჭროებისა რომელებთაც აქვთ არაპირდაპირი გადასახადთა განყოფილებიდგან აღებული სათანადო პატენტები. წარუდგინონ 1 ნოემბრამდის ამის შესახებ განცხადება თბილისში არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილებას (სასამართლოს ქ. № 50) და მაზრებში ადგილობრივი აქციზის ინსპექტორებს. განცხადებაში უნდა იქნეს აღნიშნული: სად იმყოფება საწყობი, ანუ სავაჭრო, ვის ეკუთვნის, რა საგანი აქვს დასამატი აქციზის შესაწერი და რამდენი. ამასთანავე ფინანსთა სახახლო კომისარი აფრთხილებს ყველას, თუ დანიშნულ ვადაზე განცხადება წარდგენილ არ იქნა 3 ნოემბრის შემდეგ ზემოაღნიშნული საგნები აღმოჩნდა რომელიმე საწყობში ან სავაჭროში, აღუნუსხავი და დასამატი აქციზის შეუწერელი, ასეთი საგნები ჩაითვლება განძრახ სააქციზო გადასახადისაგან გადამალულად, ჩამოერთმევა პატრონს და დამნაშავე არსებულ კანონის ძალით მიეცემა პასუხისგებაში.

ფინასთა სახალხო კომისარი **ბ. ბიბინეიშვილი.**

არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **ნ. ლამბარაშვილი.**


# მიწათ-მოქმედების კომისარიატი

ჭუიდის თავის მაღაზიებში ყოველგვარ სამეურნეო იარაღებს, თესლეულობას, ყიფილ საუფლისწულო მამულების ღვინოებს.

**კონიაკს, შამპანიურს, სპირტს და ჩაის**

აგრეთვე იყიდება სხვა-და-სხვაგვარი ხილი და მანდარინები სახელმწიფო მამულების.

გარდა ამისა იღებს ყოველივე დაკვეთას რაც კი საჭიროა ჩვენი მეურნეობისათვის.

აქვე იყიდება: შაბიაბანი, გოგირდი და სხვა მასალები

**ბაღის და ვენახების შესაწამლათ.**

**მაღაზიების ადრესი:** რუსთაველის პროსპექტი № 26. ელისაბედის ქუჩა № 164. მუშტაიდი № 8. გრკალის ქუჩა № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს. მ. უ. ს.

# ცენტრალურ სავაჭრო სამმართველო

**უნივერსალური მაღაზიები № 1 და 3.**

1) სომხის ბაზარი (ქარვასლა ყოფ. მანთაშევი) 3) სასახლის. 8 (ყოფ. ალშვანგის)

## შემოდგომის სეზონისთვის

მიღებულია საქონელი ბათომით და გამოვიდა გასაყიდათ

### შალის ქსოვილი

შევიოტი ყველა ფერების დრაპი ვაჟების და ქალების პალტოებისთვის შალის მატერიები ვაჟთა და ქალთა კოსტიუმ. კუპონები მამაკაცთა კოსტიუმ.

### აბრეშუმი:

აბრეშუმების კრეპონი „დიუშესი“ და სხვ.

### ტრიკოტაჟი:

ჟაკეტები „პაულა,“ აბრეშუმის, საზამთრო ყველა ფერების „ „ მსუბუქი, „ „ შალის, ბავშვების და ქალების სვევსტები შალის, ქალთათვის, ბავშვების, ვაჟების ჩულქები აბრეშუმის, ფილდიკოსის-ყველა ზომის და ფერების-ქალთათვის და ბავშვებისთვის. ნასკები მამაკაცისთვის, ფილდიკოსის ყველა ზომის.

# დიდი არჩევანი:

### ქაღალდის ქსოვილები:

ბატისტი ჩითი, რენო ბუმაზეია. გრისბონი ფლანელი, მადეპალამი, შოტლანკა სატინი, შეკერილი საცვლები მამაკაცისთვის.

### ჭურჭელი

სამზარეულო, მინანქარით სასადილო ყოველგვარი შუშეულობა

### გალენტერია, პარფიუმერია (საწვრილმანეთის.) შეკერილი ტანისამოსი

მამაკაცების შალის კოსტიუმი ტყავის კოსტიუმების კომპლეკტი პალტოები ქალების და მამაკაცები:

### შეკერილი ფეხსაცმელები ქალთათვის

მამაკაცისათვის **საკუთარი სახელოსნოში მიიღება შეკვეთა ყოველგვარ ფეხსაცმელზე**

**მაღაზია № 2** ქარავან-სარაი ტამამშევისა

კონიაკები და არაყი სარაჯევისა ,,არგო‘‘

**თუთუნი** საბჭოთა ყველა ქარხნების.

**პაპიროსები** სოლიდნი. საბჭოთა, ეგიპეტსკი, დელიკატეს, საფო, არისტოკრატ. და სხვ.

მიღებულია ახალი საბჭოთა პაპიროსები ფასები ზომიერია.

პროფკავშირის წევრებისთვის 10 პროც. დაკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „წარმოკავშირი“

## აერთებს საქართველოს უდიდეს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს:

მეღვინეთა კოოპერატივი „**კახეთი**“ — 200.000 ვ. ღვინო
მეღვინეთა კავშირი „**კავშირთა-კავშირი**“ — 150.000 „ „
მეხილეთა ამხანაგობა „**ქართლი**“ — 200 ვაგონი ხილი და სხვ.
მეცხვარეთა ამხანაგობა „**მწყემსი**“ — 150 ფუთი მატყლი და სხვ.
მხვნელ-მთესველთა ამხანაგობა „**ხორბალი**“ — ხორბალი, ფქვილი, საკვები და სხვ.
მევენახეთა ამხანაგობა „**ხვანჭკარა**“ — რაჭული ღვინო.
სასოფლო-სამეურ. ამხანაგობა „**თან-დონი**“ — თხილი და დაფნა.
მეჯოგეთა ამხანაგობა „**მეჯოგე**“ —

**განყოფილებანი:**
ბათომში,
ბაქოში.

**წარმომადგენლობა:**
სტამბოლში,
ბერლინში.

„წარმოკავშირი“ აწარმოებს: საექსპორტო-საიმპორტო საექსპედიციო და საკომისიო ოპერაციებს.

სასახლის ქუჩა № 5.

**ტფილისი,**

ტელეფონი № 8-48.

ს. ს. ს. რ.

# სახელმწიფოს ღვინის-სპირტის და კონიაკის ტრესტი.

სახ. მეურ. უმ. საბჭო.

ტფილისი, სასახ. ქ., № 6, ტელ. 16—57.

სახელმწ. ღვინოების ტრესტი წინადადებას აძლევს ყველას,

**შეიძინონ რამდენიმე ფაბრიკატები თავის ცნობილ ქარხნებიდან, რომელნიც ამ ჟამად**

**ს ა ვ ს ე ბ ი თ მ უ შ ა ო ბ ე ნ.**

ქარხანა № 1 (ყოფილი დ. ზ. სარაჯიშვილის), № 2 — ყოფ. ამხ. „არგო“)
№ 3 (ყოფ. დ. ე. კალანდაძე), № 4 ყოფილი „სოლომონოვის გომში“).
№ 5 (ყოფ. პროტცერი აბასთუმანში).

სპირტი - არაყი **კონიაკები** — ყოფ. სარაჯიშვილის — ფირმისა **კონიაკები** — ყოფ. „არგო“-ს ფირმისა. თავის ნაწარმოებების მაღალ ხარისხის დაცვის გარდა, რომელნიც ატარებენ ქარხნების ეტიკეტებს და სახელმწიფო ღერბის იარლიკებს, სახ. ღვინის ტრესტი სდევნის ყოველგვარ ფალსიფიკაციას და ქუჩურ სიყალბეს.

**სპირტის და მაგარ სასმელების გატანა რ. ს, ფ. ს. რ-დან შეიძლება მხოლოდ სახელმწ. ღვინის ტრესტის ნებართვით.**

გამგეობა.



ს. მ. უ. ს.
თბილისი სასახ. ქ. № 6. ტელეფონი 16-52.

# ს. ს. ს. რ.
# სახელმწიფო ღვინის, სპირტის და კონიაკის ტრესტი.

საღვინტრესტი ჰყიდის განუსაზღვრელ რაოდენობით

**ყველა მსურველთათვის, თავის ცნობილ ქარხნების ფაბრიკატებს,**

რ ო მ ე ლ ნ ი ც მუშაობენ დიდის წ ა რ მ ა ტ ე ბ ი თ.

ფალსიფიკატორებს ღვინის ღვინის ტრესტი სასტიკად სდევნის.

**პრეისკურანტი მომქმედი ა. წ. 1 სექტემბრიდან.**

**ფასები გადახდილ აქციზით:**

| | | | 1 ვედროზე. | 1 ბოთლზე. |
|---|---|---|---|---|
| 1. სპირტი გაწმენდილი 95—96° | | | 2.5000.000 მ. | |
| „ „ | 1 | 4 | 2.800.000 „ | 7000.000 მ. |
| „ „ | 1 | 20 | 3.200.000 „ | 160.000 „ |
| 2. არაყი პირის | 1 | 20 | 1.400.000 „ | 70.000 „ |
| „ „ | 1 | 40 | 1.600.000 „ | 40.000 „ |
| 3. კონიაკი ყოფ. სარაჯიშვილის ფირმისა O.C. | 1 | 20 | 3.300.000 „ | 165.000 „ |
| „ „ | 1 | 40 | 3.600.000 „ | 90.000 „ |
| „ 4 | 1 | 20 | 2.900.000 „ | 145.000 „ |
| „ „ | 1 | 40 | 3.900.000 „ | 80.000 „ |
| „ 3 | 1 | 20 | 2.700.000 „ | 135.000 „ |
| „ „ | 1 | 40 | 3.000.000 „ | 75.000 „ |

**ქარხანა № 1 (ყოფ. დ. სარაჯიშვილი). № 2 (ყოფ. ამხ. „არგო“). № 3 (ყოფ. დ. ე. კალანდაძე). № 4 (ყოფ. სოგომონოვი გომში). № 5 (ყოფ. პროტცერი აბასთუმანში).**

ტრესტი იძლევა ნაწარმოებთა მაღალ ღირსების გარანტიას. საქარხნო ეტიკეტების გარდა ნაწარმოებს ზედ აკვრია განსაკუთრებული ქაღალდი სახელმწიფო ღერბით.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# სახალხო სასურსათო კომისარიატი.

# ს. ს. ს. რ.

## უნივერსალური მაღაზია № 1

(სასახლის ქუჩა, ჟირარდოვისეული მაღაზია).

მიღებულია

ახალი პარტიები

ფართლეულისა და საბავშო

სამეცნიერო სათამაშოებისა.

მიღებულია

## მაღაზია № 2

(პლეხანოვის ქუჩა, სახელოსნო კლუბის პირდაპირ).

**იყიდება** ყველაფერი, რაც საჭიროა სასოფლო მეურნეობისათვის.

**სასოფლო სამეურნეო იარაღები:**

გუთნები, სათესი მანქანები, სამურველი, სათიბავი, კულტივატორი, სეპარატორები და სხვა.

ლურსმანი, რკინეული, ლომი, წერაქვი, ჩაქუჩები, კანაფი, გოგირდი, შაბიამანი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# სახალხო სასურსათო კომისარიატი.

## ს. ს. ს. რ.

## სასურსათო მაღაზია № 3

ვაგზლის ქუჩ. გადავიდა დესიმონოვის მოედანზე (რიყე)

**— იყიდება —**

**საბაზრო ფასებზე ნაკლებად:**

ფქვილი, ხორბალი, ჭვავი, ქატო, ანაცე-
რი, შეკრული თივა, ქერი და სხვა.

## საკომერციო განყოფილება

(ევანგულოვის ქუჩა, № 2).

აბრეშუმს, ფრი-
ზონს, აბრეშუმის
პარკს და

**ყიდულობს:**

სხვა ნედლეულს,
სასურსათო პრო-
დუქტებს

— და ფართო მოთხოვნილების საგნებს —

როგორც ნაღდ ფულზე ისე საქონლის გაცვლის საფუძველზე.

# სახალხო სასურსათო კომისარიატის მომარაგების გან-ყოფილებისაგან

მომარაგეების განყოფილება იწყებს ოქტომბრის **23**-დან ულუფის განაწილებას. ულუფა მიეცემათ საბჭოთა მუშაკებს, რომელნიც ნაჩვენებ დროს სახელმწიფოებრივს მომარაგებაზე იყვნენ ტფილის-ში. ერთის თვის ულუფას შეადგენს: აგვისტოსი და სექტემბრისას

| | | | |
|---|---|---|---|
| ფხვნილი შაქარი . . . | 1 გირ. | ლობიო. . . . . . | 8 გირ. |
| ჩაი . . . . . . . | $\frac{1}{4}$ „ | მარილი . . . . . | 3 „ |

**ულუფა უნდა გამოითხოვოს დაწესებულებამ, ან წარმოებამ ერთის კვირის განმავლობაში აღნიშნულ რიცხვებიდან.**

## ულუფის მიცემის წესი:

მოთხოვნილებანი წარდგენილ უნდა იქნენ ჯგუფების წარმომადგენელთა საშუალებით სახალხო სასურსათო კომისარიატის მომარაგეების განყოფილნბაში (ევანგულოვის ქ. № 2) ულუფა გაიცემა ცენტრო-საწყობიდან (ელისაბედის ქ. № 133) ტარა ულუფის წამღებმა თვით უნდა მოიტანონ. მოთხოვნილებაში ნაჩვენები უნდა იყოს ფაქტითი რიცხვი საბჭოთა მოსამსახურეებისა, რომელნიც ხსენებულ დროს სახელმწიფოებრივს მომარაგებაზე იყვნენ და რომელთაც ეკუთვნის ულუფით დაკმაყოფილება.

## აგვისტოსი და სექტემბრის ულუფის ფასი

I

იმ დაწესებულებებმა და წარმოებებმა, რომელნიც მუშებს და მოსამსახურეებს ჯამაგირს აძლევენ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ მტკიცე ტარიფის მიხედვით (დადგენ. № 51), სამუშაო ხელფასიდან მუშა-მოსამსახურეებს უნდა გამოურიცხონ ჯამაგირიდან:

| | | | |
|---|---|---|---|
| **1 გირვანქა შაქარში . . .** | **20,000 მან.** | 8 **გირვანქა ლობიოში . .** | **32,000 მან.** |
| $\frac{1}{4}$ **გირვანქა ჩაიში . . .** | **16,000 „** | 3 **გირვანქა მარილში . . .** | **3,000 „** |

სულ მშრალ ულუფის ფასად უნდა დაუჭირონ მოსამსახურეებს თვითოეულ თვეში—71,000 მან. თვითოეულ 1 გირვანქა პურზე თანამშრომელს უნდა დაუჭირონ ჯამაგირიდან გირვანქა პურის 3,500 მან. შეფასების კვალად—105,000 მან. სულ მშრალ ულუფასთან ერთად—176,000 მან. თვიდოეულ თვეში ვინც ორ გირვანქა პურს იღებს, 3,500 მ. შეფასების მიხედვით იმათ უნდა გამოექვითოთ 21,000 მ., სულ მშრალ ულუფასთან ერთად—284,000 მანეთი თვითოეულ თვეში ვინც 2 ნახ. გირვანგა პურს იღებს, იმათ უნდა გამოექვითოთ 3,500 მანეთის შეფასებით—262,000 მან. სულ მშრალ ულუფასთან ერთად—334,000 მან თვითოეულ თვეში.

II

იმ დაწესებულებებმა და წარმოებებმა, რომელთაც კოლექტიური ხელშეკრულებანი აქვთ დადებული და მუშა-მოსამსახურეებს ჯამაგირს აძლევენ მტკიცე განაკვეთზე მეტს, სამუშაო ხელფასიდან უნდა გამოურიცხონ შემდეგის წესით: მშრალ ულუფაში 71,000 მან. თვითეულ თვეში. ერთ გირვანქა პურში—გირვანქა პურის 5,500 მან. შეფასებით 165,000 მანეთი სულ მშრალ ულუფასთან ერთად 236,000 მან. თვითოეულ თვეში. 2 გირვ. პურში—5,500 მან. თვითოეულ თვეში მშრალ ულუფასთან 401,000 მანეთი თვითოეულ თვეში 2 ნახ. გირვ. პურში—5.500 შეფასებით—413,000 მან. სულ მშრმლ ულუფასთან ერთად 484,000 მან. თვითოეულ თვეში. აქ ნაჩვენებ შეფასების მიხედვით დაწესებულებებმა და წარმოებებმა მუშა-მოსამსახურეებს უნდა გამოუქვითონ ჯამაგირიდან.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების

**წიგნის მაღაზია,** რომელიც მოთავსებული იყო რუსთაველის პროსპ., სასტ. „ორიანტის" ქვეშ გადავიდა ძველ ბინაზე, სადაც იმყოფება კანცელარიაც. სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში.

**იყიდება** ყოველნაირი სახელმძღვანელო, მელანი, ცარცი, ქარტები, საკანცელარიო საგნები და ბელეტრისტ. ნაწარმ. გამოჩ. მწერლებისა

**პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო**

**„ორიანტი"** ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პრ. № 9.

საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის განათება, ტელეფონი,

ევროპიული და აზიური სამზარეულოთი, **სასტუმროსთან რესტორანი**

საუკეთესო მზარეულთა ზედამხედველობით.

საუზმე, სადილი, ვახშამი, სასმელები. სადილები ეძლევა ყველას 2 — 5½ საათამდე. ფასები დაკლებულია.

**მეფისტო**

**„მსახიობთა კერა"**

ყოველ-დღე

**კაბარე**

დასაწყისი ღამის 12 საათზე.

ქალთა სიმებიანი

**ორკესტრი.**

საუკეთესო სამზარეულო

სისუფთავე. კაბინეტები.

# მიმოსვლის

## სამგზავრო მატარებლების ამიერ-კავკასიის

### თბილისიდ

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩქარი მატარებელი | № 5 რ. | გადის როსტოვში | 11 ს. 40 წ. | სალ. ორშაბათობით |
| „ „ | № 5 მ. | „ მოსკოვში | 11 ს. 40 წ. | „ შაბათს |
| „ „ | № 5 პ. | „ პეტროგრადში | 11 ს. 40 წ. | „ ხუთშაბათს |
| საფ. მატარებელი | № 3/4 კ. | „ თელავში | 7 ს. 15 წ. | დილ. კენტ რიცხვებში |
| საქ. მატარებელი | № 21/22 კ. | „ „ | 7 ს. 15 წ. | „ ლუწ რიცხვებში |
| ჩქარი მატარებელი | № 1 | მიდის ბაქოსკენ | 9 ს. 25 წ. | „ ხუთშ. და ორშაბ. |
| საფ. მატარებელი | № 4 | „ ბათომისაკენ | 5 ს. 00 წ. | სალ. ყოველდღე |
| სამ. საბ. | № 25 | „ ჯულფისაკენ | 11 ს. 00 წ. | „ ლუწ რიცხვებში |
| სამ. მატარებელი | № 20 | „ ბორჯომისკენ | 3 ს. 30 წ. | დღით ყოველ დღე |
| სამ. საბ. მ. | № 21 | „ ბაქოსკენ | 7 ს. 15 წ. | სალამ. ყოველ დღე. |
| ჩქარი მატარებელი | № 2 | „ ბათომისკენ | 9 ს. 00 წ. | სალ. ხუთშ. და კვირ. |
| საფ. მატარებელი | № 3-ე | „ ერევნისკენ | 5 ს. 25 წ. | „ კენტ რიცხვებში |
| „ „ | № 3-ე | „ როსტოვისკენ | 2 ს. 15 წ. | დილ. ყოველ დღე |
| ჩქარი მატარებელი | № 6 | „ ბათომისკენ | 5 ს. 35 წ. | „ ოთხშ. როსტოვში ორშაბ. მოსკოვში. შაბათობ. პეტროგ. |
| სამ. საბ. | № 22 | „ ბათომისკენ | 1 ს. 25 წ. | სალ. ყოველ დღე |

### თბილისშ

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საბარგო მატარებელი | № 21 | მიდის ბათომიდან | 11 ს. 35 წ. | საღამოს ყოველდღე |
| საბარგო მატარებელი | № 26 | „ ჯულფიდან | 7 ს. 30 წ. | საღამოს კენტ რიცხვებში |
| ჩქარი მატარებელი | № 5 | „ ბათომიდან | 6 ს. 00 წ. | დილით ორშაბათ. როსტოვში შაბათობით მოსკოვში. ხუთშაბათ. პეტროგრადში. |
| საფოსტო მატარებელი | № 4 | „ როსტვიდან | 11 ს. 00 წ. | საღამოს ყოველდღე |
| სამგზავრო „ | № 19 | „ ბორჯომიდან | 12 „ 45 „ | ღამით. „ „ |
| საფოსტო „ | № 4 | „ ერევნიდან | 9 „ 30 „ | დილით კენტ რიცხვებში. |
| კურიერის „ | № 1 | „ ბათომიდან | 2 „ 30 „ | დღით ოთხშ. და კვირ. |
| სამგ. საბ. „ | № 22 | „ ბაქოდან | 10 „ 35 „ | საღამოს ყოველდღე. |
| კურიერის „ | № 2 | „ „ | 7 „ 10 „ | „ შაბ. და ოთხშაბ. |
| საფოსტო „ | № 3 | „ ბათომიდან | 5 „ 10 „ | „ ყოველდღე. |
| „ „ | № 3-4 კახ. | თელავიდან | 6 „ 09 „ | დილით ლუწ რიცხვებ. |
| საბარგო „ | № 21-22 „ | „ | 6 „ 09 „ | „ კენტ რიცხვებ. |
| ჩქარი „ | № 6 „ | როსტოვიდან | 6 „ 45 „ | „ კვირას |
| „ „ | № 6 „ | მოსკოვიდან | 7 „ 00 „ | საღამოს ოთხშაბათ. |
| „ „ | № 6 „ | პეტროგრადიდან | 9 „ 00 „ | „ კვირაობით. |

შენიშვნა: 1. კურიერის მატ. №№ 1. და 2 ორი რბილი ვაგონებით და ორი მაგარით, დასაწოლი ად
2. ჩქარი მატ. №№ 5 და 6 ივლიან სამჯერ კვირაში პირდაპირ გადაუჯდომლად, ერთჯერ ბა ყველა ვაგონები ამ მატარებელში დანომრილი დასაწოლი ადგილებით და ეს მატარებ
3. საფოსტო მატარებელი № 3 და 4 ივლიან ყოველდღე ბესლანით და პირდაპირ გადაუ
4. დაწვრილებითი მიმოსვლის ცხრილი იყიდება, როგორც რკინისგზის აგრეთვე ქალაქის ალექსანდროპოლში. ერევანში — ფასით 50,000 მან. ქართული ბონებით.

# ცხრილი

## რკინის გზებზე 1 ნოემბრიდან 1922 წელს.

## ან გადის:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩადის როსტოვში | 9 | საათზე | 00 | წ. | საღამოს ხუთშაბათობით |
| „ მოსკოვში | 10 | „ | 40 | წ. | დილით ხუთშაბათობით |
| „ პეტროგრად | 12 | „ | 00 | წ. | დღით ოთხშაბათს |
| „ თელავში | 7 | „ | 11 | წ. | საღამოთი კენტ რიცხვებში |
| „ თელავში | 7 | „ | 11 | წ. | „ ლუწ. რიცხვებში |
| „ ბაქოში | 8 | „ | 25 | წ. | დილით პარასკეობით და სამშაბათობით |
| „ ბათომში | 10 | „ | 30 | წ. | დილით ყოველ დღე |
| „ ჯულფაში | 3 | „ | 33 | წ. | ღამით კენტ რიცხვებში |
| „ ბორჯომში | 10 | „ | 30 | წ. | საღამოს ყოველდღე |
| „ ბაქოში | 8 | „ | 55 | წ. | დილით ყოველდღე |
| „ ბათომში | 12 | „ | 05 | წ. | დღით პარასკეობით და ორშაბათობით |
| „ ერევანში | 6 | „ | 00 | წ. | საღამოს ლუწ რიცხვებში |
| „ როსტოვში | 5 | „ | 20 | წ. | დილით ყოველდღე |
| „ ბათომში | 8 | „ | 30 | წ. | საღამოს ოთხშაბათს როსტოვში, ორშაბათს მოსკოვში, შაბათობით პეტროვსკში |
| „ ბათომში | 4 | „ | 35 | წ. | საღამოთი ყოველდღე |

## ი მოდის:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდის | თბილისში | 5 | საათზე | 00 | წ. | დილით ყოველ დღე. |
| ,, | ,, | 11 | ,, | 55 | ,, | საღამოს კენტ რიცხვებში. |
| ,, | ,, | 9 | ,, | 40 | ,, | საღამოთ ორშაბათ. როსტოვში, შაბათობით მოსკოვში; ხუთშ. პეტროგ. |
| ,, | ,, | 1 | ,, | 00 | ,, | დღით ყოველდღე. |
| ,, | ,, | 7 | ,, | 55 | ,, | დღით. ,, ,, |
| ,, | ,, | 10 | ,, | 50 | ,, | დღით ლუწ რიცხვებში. |
| ,, | ,, | 6 | ,, | 15 | ,, | დღით ხუთშაბ. და ორშაბათობით. |
| ,, | ,, | 3 | ,, | 05 | ,, | დღით ყოველდღე. |
| ,, | ,, | 6 | ,, | 55 | ,, | საღამოს ხუთშაბ. და კვირას. |
| ,, | ,, | 11 | ,, | 35 | ,, | დილას ყოველდღე. |
| ,, | ,, | 6 | ,, | 10 | ,, | საღამოს ლუწ რიცხვებში. |
| ,, | ,, | 6 | ,, | 10 | ,, | საღამ. კენტ რიცხვებში. |
| ,, | ,, | 3 | ,, | 30 | ,, | ღამით ორშაბათობით. |
| ,, | ,, | 3 | ,, | 30 | ,, | ,, ორშაბათობით. |
| ,, | ,, | 3 | ,, | 30 | ,, | ,, შაბათობით. |

გილებით და ორი საჯდომი ვაგონი, რესტორან ვაგონით, ივლიან ორჯერ კვირაში ბათომ-ბაქოს შუა, თომიდან როსტოვამდე, ერთჯერ ბათომიდან მოსკოვამდე და ერთჯერ ბათომიდან პეტროგრადამდე და ლები გაივლიან ბაქოში, მოზდოკში, როსტოვში, ხარკოვში, მოსკოვში და ბოლოგოეში. ჯდომელი მიმოსვლით ტფილისს და როსტოვს შორის.
სადგურებში: ბათომში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, ხაშურში, ტფილისში, განჯაში, ბაქოში,

# გალაკტიონ ტაბიძის
# ჟურნალი

გამოდის ყოველკვირეულად

## მასალები:

**ლიტერატურული:**
ლექსები, მოთხრობები, ნოველები, პოემები, კრიტიკული წერილები და სხვ.

**მხატვრული**
ფოტოტიპიები, ნახაზები, ოფორტები, ლიტოგრაფიები, წერილები მხატვრობის ქანდაკების, არხიტექტურის. მონოგრაფიები, ქრონიკა და სხვ.

**თეატრალური**
თანამედროვე თეატრის მიზნები, რეჟისსურა, აქტიორი, პიესა, ქართული დრამა და სხვ.

**მუსიკალური**
მუსიკა ქართული და უცხო, მისი ისტორია. ქართული ოპერა და სხვ.

**რეტროსპექტიური**
ძველი ნაშთებისა, ქრონიკა.

**ბიბლიოგრაფია.**

**მატიანე.**

რედაქც. მისამართი:
— ქ. ტფილისი —
სასახლის ქუჩა, № 5.

რედაქცია და კანტორა ღია:
დილის 9—3 საათამდე
საღამ. 6—8 საათამდე
თვითეული № 30ათ.

**განცხადებები № ფ. 30 მორიგებით.**